# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 5 ივნისი 2003 №102 (1873) | ფასი 50 თეთრი




ზურაბ ხიზანიშვილი ირლანდიისთვის მზადაა

## ივო შუშაკს გული ცუდს არ ეუბნება, ექიმები კი ეუბნებიან

საირლანდიოდ შეგულებული 22 ფეხბურთელიდან ივო შუშაკმა გუშინ „დინამოს" დიღმის ბაზაზე თითქმის ყველას მოუყარა თავი. გიორგი დემეტრაძეს სავიზო პრობლემები მოუგვარებია და თბილისშია. თბილსშია შოტლანდიელი ქართველობაც — შოთა არველაძე, ზურაბ ხიზანიშვილი და გიორგი ნემსაძე. ნაკრებს დღეს შეუერთდება ჩემპიონთა ლიგის მომგები კახა კალაძე. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ გუშინვე გუნდის ექიმებმა შუშაკს არ( თუ სასიამოვნო ამბავიც აუწყეს — დავით კვირკველიასა და ლევან ცქიტიშვილს კუნთი ასტკი... ბიათ და მათი ირლანდიაში თამაში საეჭვო.

ნავარჯიშევს გამართულ პრესკონფერენციაზე ხორვატმა მწვრთნელმა მოძალებულ ტრავმიანობაზეც ილაპარაკა და აქეთ დაგვამშვიდა, კვირკველიასა და ცქიტიშვილის შემცვლელების პოვნა იოლი საქმეაო.



საქართველოს ნაკრების გუშინდელ ვარჯიშს თემურ ქეცბაიამაც ადევნა თვალი

## ფრანგული თიხა მსპანშრად მღერის



ხუან კარლოს ფერერო ზედიზედ მეოთხედ გავიდა ნახევარფინალში

როლან გაროსის სლემთიხნარი უკვე ისეთ ეტაპს მიადგა, სადაც მოხვედრილი რაგინდარა კვალიფიკაციის მოთამაშე ავტომატურად ჩაითვლება ჩემპიონობის კანდიდატად. ნახევარფინალში გასული ოთხი ჩოგბურთელიდან თვით არც უსახელო ჰოლანდიელი, მარტინ ვერკერკი ჩამოინერება, რამეთუ მას ამხელა გზა გამოუვლია, ამდენი დაუმარცხებია და ისეთ ფორმაში ჩანს, საფინალო შანსებს წინასწარ ვერავინ წაართმევს. ახმახი ჰოლანდიელი ნახევარფინალში ყოჩაღ არგენტინელ მეთიხნარეს გილერმო კორიას შეეტოქება.

მეორე ნახევარფინალური წყვილი კი თიხაზე ჩოგნაობისთვის დაბადებულმა ესპანელებმა ალბერტ კოსტამ და ხუან კარლოს ფერერომ შეადგინეს. ესენი შარშანდელი როლან გაროსის ფინალისტები არიან — კოსტა ჩემპიონია და, თუ მაინც და მაინც ფავორიტის დასახელებაზე მიდგა საქმე, ის უფრო ამ წყვილში უნდა ვეძებოთ. კოსტამაცა და ფერერომაც სამეოთხედფინალო ჭორომები გუშინ გამოიარეს და „ჯიუტ" მეტოქეთაგან მონაჩქეფი ბურთების ჩქერში მაგრადაც გაიწუწნენ. კოსტამ პირველი ორი სეტის წაგების შემდეგ ხუთსეტიან განდაგანაში ძლივს მოუგო უმცროს თანამემამულეს ტომი რობრედოს. ფეროსაც ხუთსეტიან წვალებად დაუჯდა ახალშელერებული ჩილელის ფერნანდო გონსალესის გზიდან ჩამოშორება .



შარშანდელი ჩემპიონი ალბერტ კოსტა ჯერაც „ცოცხალია"

# ახალგაზრდულს დინამო გამოსცდის

*გუშინ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს მწვრთნელი დაუბრუნდა — „ნორჩი დინამოელის“ მოედანზე შეკრებილ 21-წლამდელებს რევაზ არველაძემ გააცალა სიქა. გუნდთან ერთად ივარჯიშა თბილისში ახალჩამოსულმა ლაშა რეხვიაშვილმაც. გიორგი დეკანოსიძე და გიორგი ციმაკურიძე კი დღეს უნდა შეუერთდნენ ნაკრებს. დღესვე რევაზ არველაძე გუნდს თბილისის „დინამოს“ ამხანაგურად გააჯიბრებს.*

*ვარჯიშის დასრულების შემდეგ მწვრთნელ-ფეხბურთელებს მცირე ინტერვიუები ჩამოვართვით:*



*რევაზ არველაძე*

— ვერ ვიტყვი, რომ ბიჭების მომზადების დონით ძალიან კმაყოფილი ვარ. ზოგმა იმედები აშკარად გამიცრუა, მაგრამ არა უშავს. ირლანდიასთან საპასუხისმგებლო მატჩი გველის და კარგად მოვემზადებით.

**— ნაკრებმა სრული შემადგენლობით ვერ ივარჯიშა, მცველი ციმაკურიძე და ნახევარმცველი დეკანოსიძე გაკლდათ...**

— მათ დღეს ველოდებით. ორივე ჩემი გუნდისთვის დიდი ძალაა. ხვალ „დინამოსთან“ საწვრთნელი მატჩი გვაქვს დაგეგმილი, შემადგენლობასაც მაშინ შევათვალიერებ.

**— სათამაშო ტაქტიკა შეარჩიეთ? თქვენი საყვარელი სქემა 3-5-2-ია...**

— მართალი ხართ, მაგრამ სულ ერთი სქემის იმედად ხომ არ ვიქნებით. არაა გამორიცხული, ოთხი მცველითაც ვითამაშოთ. ერთი სიტყვით, ჯერ არ გადამიწყვეტია, ვნახოთ, ყველანაირ სქემას მოვსინჯავთ.

**— მეტოქეს იცნობთ, ირლანდიას თბილისში ფრედ ეთამაშეთ...**

— ვიცი, რომ ოთხი-ხუთი ახალი ფეხბურთელი ჰყავთ და, ალბათ, გაცილებით აგრესიულად ითამაშებენ. დაცვაში ნამდვილად არ ჩავსხდებით, ვითამაშებთ იმ ფეხბურთს, რაც ვიცით და შეგვიძლია.

**— ნახევარმცველი სირაძე და მცველი ამისულაშვილი ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეთ, თუმც ივო შუშაკმა ორივე ეროვნულ გუნდში გადაიყვანა.**

— სირაძისა და ამისულაშვილის საკითხი 8 ივნისს, დილით გაირკვევა. შუშაკი საბოლოო პასუხს მაშინ მეტყვის. ვიცი, რომ ორივე ფეხბურთელი ჩემი გუნდისთვის დიდი ძალაა, მაგრამ ეროვნული გუნდის ინტერესები მთავარია.

*ლაშა რეხვიაშვილი:*

**— ახალგაზრდულ ნაკრებში ბოლო ორი მატჩი შვეიცარია-ირლანდიასთან არ გითამაშია. ახლა ელოდი გამოძახებას?**

— კი, როგორ არა. ვიცოდი, რომ რევაზ არველაძე ჩემს გამოძახებას აპირებდა. თან ახალგაზრდული ნაკრები ჩემთვის მაინცდამაინც უცხო არ არის. ადრეც ხომ ვიყავი მიწვეული.

**— ირლანდიასთან მატჩზე რას ფიქრობ?**

— აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერაც არ დაგვიკარგავს და სამი ქულისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩემი აზრით, ირლანდია არაა ის გუნდი, მისი დამარცხება ვერ შევძლოთ. დარწმუნებულიც ვარ, რომ მეტოქეს მოვუგებთ.

**— „რუხი“ პოლონეთის პირველი ლიგიდან გავარდა. შენი მომავალი როგორ წარმოგიდგენია ამ კლუბში?**

— სიმართლე გითხრათ, ახლა გაურკვევლობაში ვარ. ძალიან ცუდია, რომ „რუხი“ დაქვეითდა.

**— როგორც მივხვდი, დარჩენას არ აპირებ...**

— არა. ალბათ, სხვა კლუბში გადავალ. თუმც წინასწარ ლაპარაკი არ მსურს.

**— კონტრაქტი?**

— სამწუხაროდ, „რუხთან“ კიდევ ორწლიანი ხელშეკრულება დამრჩა, მაგრამ ამას ალბათ მოვაგვარებ.

**— როგორ ფიქრობ, გაგიშვებენ თუ პრობლემებს შეგიქმნიან?**

— ისინი არ გამიშვებენ, მაგრამ მეორე ლიგაში თამაშს არ ვაპირებ. კონტრაქტს გავწყვეტ და ეგ იქნება.

**— როგორ?**

— სამი თვის ხელფასი ისედაც აუღებელი მაქვს. ამიტომ ვფიქრობ, ჩემი გზის მოძებნა არ გამიჭირდება.

**— ვარიანტები გაქვს?**

— როგორც ვიცი, რამდენიმე კლუბია ჩემით დაინტერესებული, პირველი ლიგიდანაც და მეორედანაც, თუმც, უკვე გითხარი, მეორე ლიგაში თამაში დიდად არ მხიბლავს.

**— საბოლოოდ როდის გაირკვევა შენი საკითხი?**

— ირლანდიიდან ჩამოვალ და მერე ვნახავ, რა როგორ იქნება. ამ ეტაპზე მეტის თქმა არ შემიძლია.

*დავით ქოქაშვილი:*

**— ტრავმა ახლახან მოიშუშე. თავს როგორ გრძნობ?**

— ყველაფერი კარგადაა. აღდგენითი პერიოდი საკმაოდ ნორმალურად გავიარე და ახლა არაფერს ვუჩივი.

**— ტრავმის შემდეგ თამაში თუ მოასწარი?**

— ერთხელ, მოსკოვის „დინამოსთან“ 90 წუთი ვითამაშე და მერე თბილისშიც წამოვედი.

**— „სპარტაკის“ სარეზერვო გუნდს მწვრთნელი შეეცვალა...**

— მე რომ ჩამოვედი, მერე დანიშნეს მწვრთნელად სერგეი იურანი. ასე რომ, ჯერჯერობით არაფერი ვიცი.

**— ახლა ისეთ ასაკში ხარ, „სპარტაკის“ სარეზერვო გუნდში თამაში ალბათ დიდად არ წაგადგება. ამაზე არ დაფიქრებულხარ?**

— რა თქმა უნდა, ეს მეც ვიცი. უბრალოდ, მოსკოვში რომ ჩავედი, ძირითად გუნდს ვარჯიში არ ჰქონდა. მწვრთნელებმაც სარეზერვოებთან მავარჯიშეს, მაგრამ... ჩემდა სამწუხაროდ, იმ დღესვე უმძიმესი ტრავმა მივიღე. ამიტომ მოხდა ასე, თორემ კლუბის ხელმძღვანელობა თავიდანვე შემპირდა, რომ ძირითად გუნდში ვიქნებოდი. ახლა ამას ცოტა დრო კიდევ დასჭირდება. ფორმას სრულად ალვიდგენ და მერე უფრო სერიოზულ მიზნებზეც ვიფიქრებ.

**— ირლანდიაში როგორი განწყობით მიდიხართ?**

— ცხადია, მოსაგებად. როგორც მითხრეს, ჩვენი მეტოქე დიდი ვერაფერი გუნდი ყოფილა. თან ჩვენ ფრეც არ გვაძლევს ხელს და ამიტომ მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობთ. თუმც ისიც გასათვალისწინებელია, რომ სტუმრად ვთამაშობთ. ეს ფაქტორი ირლანდიელებს კი ეხმარება, მაგრამ გამარჯვება მაინც რეალური მგონია.

**გიორგი ვაშაძიძე**
**ძაბა შალამბერიძე**

# ძველი ნაცნობი გონსალესი



იტურალდე გონსალესმა საქართველოს ნაკრები თბილისში გაიცნო

ირლანდია — საქართველოს 11 ივნისის მატჩს ესპანელები იმსაჯებენ. არბიტრი ბასკი ედუარდო იტურალდე გონსალესი იქნება, მას რაფაელ მერერო ალონსო და ანტონიო კარლოს პატერნა დაეხმარებიან, მეოთხე კი ალფონსო პირეს ბურული იქნება.

იტურალდე გონსალესს საქართველოს ნაკრების ერთი მატჩი უკვე აქვს ნამსაჯი, ის თბილისში იტალიასთან შეხვედრას შარშანწინ მოემსახურა. მაშინ, გეხსომებათ, ჩვენებმა 1:2 წააგეს.

გაირკვა ირლანდია — საქართველოს მატჩის დელეგატის ვინაობაც — სლოვენიელი დანე იოსტი. მსაჯთა დირექტორი კი ფრანგი მიშელ ჟერარი იქნება.

მატჩი დუბლინში რვის ნახევარზე დაიწყება. საქართველო ირლანდიას შორის დროში სხვაობა ოთხი საათია.

**ლუკა თალაკვაძე**



# დუეტი მწვრთნელმა უნდა ამღეროს

## ქინქლაძემ ამხანაგობის აქტუალურობა შეგვახსენა

*არის თუ არ არის საუკეთესო ფორმაში გიორგი ქინქლაძე, მისგან ყოველთვის საუკეთესო თამაშს ელის გულშემატკივარი*

**— ზოგადად რას ფიქრობ ირლანდიასთან მატჩზე?**

— ძალიან რთული თამაში იქნება. ჩვენც და ირლანდიელებსაც მხოლოდ მოგება გვაწყობს, თუმც ჩვენთვის ფრეც ცუდი შედეგი ალბათ არ უნდა იყოს.

**— ინგლისის პირველ დივიზიონში სეზონი თითქმის ერთი თვის წინ დამთავრდა — უთამაშებლობის ფაქტორი შენთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლება არ იქნება?**

— მე ჩემთვის ვვარჯიშობდი და ვემზადებოდი „დერბის“ ბაზაზე. ირლანდიასთან მატჩამდე ამხანაგური თამაში რომ გვქონოდა, კარგი კი იქნებოდა.

**— ახალ გუნდში გადასვლასთან დაკავშირებით რაიმე სიახლე ხომ არ არის?**

— ჯერჯერობით ახალი არაფერია და ვფიქრობ, თვის ბოლომდე არც არაფერი გაირკვევა.

**— დიდხანს და ბევრს კამათობდნენ თემაზე — ქინქლაძესა და ჯამარაულს შეეძლოთ თუ არა ერთდროულად თამაში ნაკრებში — ზოგი ამას შეუძლებლად თვლიდა, ზოგიც პირიქით — კარგ ფეხბურთელებს ყოველთვის მოეძებნებათ გუნდში ადგილიო. ახლა ნაკრებში ძალიან საინტერესო ფეხბურთელი გამოჩნდა — მალხაზ ასათიანისა და გიორგი ქინქლაძის დუეტს რა პერსპექტივა აქვს?**

— ძალიან სასიხარულოა, თუ ნაკრებში ბევრი საინტერესო და კარგი ფეხბურთელი გამოჩნდება. მაგრამ ასეთი საკითხები ფეხბურთელების და გულშემატკივრების გადასაწყვეტი არაა. ასე რომ, არ ვიცი, რა მოხდება. ყველაფერი მწვრთნელზეა დამოკიდებული — მწვრთნელს შეუძლია ორი ერთნაირი ტიპის და ამპლუის მოთამაშე ისე გაამწესოს, რომ ორივე ეფექტურად გამოიყენოს.

**დავით თავართქილაძე**

# არველაძე VS შუშაკი 3:2 მილოცვებში

*შოთა არველაძემ შოტლანდიაში წლეულს ყველაფერი მოიგო – ჩემპიონობა, ლიგისა და ასოციაციის თასები. ჰოდა, ჩვენი პირველი შეკითხვაც ამაზე იყო და შოთას არც ამჯერად უმტყუნა იუმორმა*



**— როგორ გრძნობს თავს სამივე შოტლანდიური ტიტულის მომგები?**

— ამდენი თასებით დამძიმებული ვარ.

**— რუსეთთან მატჩის წინ მომხდარი ინციდენტი ამოწურულია?**

— ამ ინციდენტის გამო თითქმის მთელ ჩვენ სპორტულ მედიას ძალიან დიდი მადლობა მსურს ვუთხრა თანადგომისთვის. რაც მოხდა, ალბათ დავიმსახურე, თუმც ყველაფერ ამას მეორე მხარეც ჰქონდა. მოკლედ, თანადგომას ვგრძნობდი და „რეინჯერსში“ რომ ბოლო თამაშები კარგად ვითამაშე, ამან ამაშიც დიდი როლი ითამაშა — ვფიქრობ, საკუთარ თავს მოვერიე.

**— შუშაკი როგორ შეგხვდა?**

— ჩვეულებრივად — სეზონში სამი ტიტულის მოპოვება მომილოცა, მე კი მას ორი ტიტულის მოგება მივულოცე.

**— როგორ ფიქრობ, ირლანდიაში ერთი ფორვარდით ვითამაშებთ?**

— შესაძლებელია მართლაც ერთი თავდამსხმელით ვითამაშოთ, რომელსაც ორი შემტევი სიღრმიდან მიეხმარება — მე მზად ვარ, ნებისმიერ პოზიციაზე სათამაშოდ.

**— ირლანდიასთან შინ წავაგეთ, ახლა გასვლაზე რისი წყალობით უნდა მივაღწიოთ წარმატებას?**

— სწორი თამაშის ხარჯზე. როცა არასწორად თამაშობ, ბრძოლა არ ჩანს — მეტოქე სულ წინ არის და შენ მას უკან მისდევ — ასეთ დროს საბრძოლველი აღარაფერი გრჩება.

**დავით თავართქილაძე**

**შვედეთი**
თასის მერვედფინალი
**სუნდსვალი 2:1დ.დ. (1:1) ჰამარბი**

**ნორვეგია**
თასის I ეტაპი
**ლინი 4:1 კისა**

# ჩამოვა კალაძე და ვილაპარაკოთ

## შუშაკმა ცაციები გადათვალა

**საქართველოს ნაკრები** ირლანდიასთან 11 ივნისის მატჩისთვის მზადებას განაგრძობს. დღეს ეროვნული გუნდი უკვე მთლიანი შემადგენლობით შეიკრიბება, თუმც მწვრთნელი ივო შუშაკი გამოძახებულ 22 ფეხბურთელს ვერ მოაგროვებს — ტრავმების გამო ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი და დავით კვირკველია დააკლდებიან. კობიაშვილის დახმარების იმედი შუშაკს ორშაბათსვე გადაეწურა, გუშინ კი შეიტყო, რომ მას ცქიტიშვილი და კვირკველიაც დაემატნენ. დინამოელ ნახევარმცველს კუნთი ადრეც აწუხებდა, მაგრამ სერიოზულ დაზიანებაზე არავინ ფიქრობდა. გუშინდელი სამედიცინო შემოწმების შემდეგ კი ექიმებმა კვირკველიას ცოტა ხნით დასვენება ურჩიეს. ლევან ცქიტიშვილსაც კუნთი აწუხებს და გერმანიიდან ჩამოსულმა ამის შესახებ აცნობა მწვრთნელს. ცქიტიშვილიც და კვირკველიაც გუშინდელ ვარჯიშს მოედნის გარედან უცქეროდნენ. გიორგი დემეტრაძე კი ბაზაზე გაგანია ვარჯიშისას გამოჩნდა, ის პირდაპირ აეროპორტიდან მოვიდა. რუსული ვიზის პრობლემა მას გუშინვე მოუგვარებია და მოსკოვიდან ჩამოფრინდა. დემეტრაძე მწვრთნელს მიესალმა და დაეთხოვა — ნაკრები სანამ ვარჯიშობდა, ნამგზავრი ფეხბურთელი საუნაში ისვენებდა. მოედანი ადრე დატოვეს შოტლანდიიდან გამთენიისას ჩამოსულმა გიორგი ნემსაძემ და ზურაბ ხიზანიშვილმა და ძალების აღსადგენად ტრენაჟორებისკენ გასწიეს. ცოტა ხანში კი მათ მთელი გუნდი მიჰყვა. შუშაკმა შეგირდები ამჯერადაც მსუბუქად დატვირთა, ბურთთან ერთად ავარჯიშა და ერთ საათში მოედანიც დაცარიელდა. თბილისში ჩამოსასვლელი მხოლოდ მილანელი კახა კალაძე დარჩა, მაგრამ ამ სტრიქონების წაკითხვისას ის უკვე აქ იქნება. ნაკრებიდან წასული თემურ ქეცბაიაც კი დილომში იყო. კვიპროსიდან ჩამოსულმა მეგობრები მოინახულა და ვარჯიშს ბოლომდე უცქირა.



გიორგი დემეტრაძე

აი, ასეთი ამბებია ჩვენი ნაკრების ბანაკში. გუნდს დღესაც ორჯერადი ვარჯიში ექნება, ამათგან დილას დახურული — დილმის ბაზა დროებით ჩაიკეტება.

გუშინდელი ვარჯიშის მერე კი ივო შუშაკმა პრესკონფერენცია გამართა:

— სამწუხაროა, რომ ტრავმების გამო სამი ძლიერი ფეხბურთელი დაგვაკლდა. ვფიქრობდით, ცქიტიშვილი და კვირკველია მაინც შეძლებდნენ თამაშს, მაგრამ ექიმებმა სხვა რამ დაასკვნეს. არა უშავს, ეს ფეხბურთია და ტრავმებისთვის მზად უნდა იყო. დაშავებულთა გარდა გუნდში კიდევ 19 ფეხბურთელია. ხვალ შემოგვიერთდება კახა კალაძე და საირლანდიო სამზადისიც გახურდება. უკვე ოთხი ვარჯიში ჩავატარეთ, კმაყოფილი ვარ და ვიმედოვნებ, 11 ივნისამდე ასევე იქნება. ფეხბურთელებს სეზონის დამთავრების შემდეგ გადაღლა ეტყობოდათ და სწორედ ამიტომ ჩვენი ვარჯიშები მრავალფეროვანი, ხანმოკლე და სპეციფიკურია.

ჯერჯერობით არაა აუცილებელი, სარეზერვოდ გამოცხადებულთაგან რომელიმეს დამატება, 19 ფეხბურთელი საკმარისია. მარცხენაფლანგელები კი დაშავდნენ და ვერ ითამაშებენ, მაგრამ აბა, დავთვალოთ რამდენი ცაცია დაგვრჩა — დარასელია, იაშვილი, კალაძე, ამისულაშვილი, ქინქლაძე. ახლა ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად უფრო მეტი დრო გვაქვს, ვიდრე რუსეთთან მატჩის წინ. ძირითად შემადგენლობას



ივო შუშაკი

მატჩის დღეს დავასახელებ, ერთკვირიანი ვარჯიში კი 11 კაცის არჩევას გამიიოლებს.

თავდასხმაში არჩევანი გვაქვს. არველაძე, იაშვილი, დემეტრაძე, ალექსიძე ისეთი ფეხბურთელები არიან, რომლებსაც თავიანთ გუნდებში ბევრი გოლი გააქვთ. დღევანდელ ვარჯიშზე კი კარში თუ ზუსტად ვერ დაარტყეს, ეს მოედნის ბრალია, ბურთი ხტის და დამიზნება ჭირს. თუმც დარტყმაც არაა მთავარი, იქამდე ბურთი უნდა მოიპოვო და დასარტყმელ პოზიციამდე მიიტანო.

ვიდრე გუნდი ბოლომდე არ შეიკრიბება, ფეხბურთელებთან საუბარს ვერიდები. ხვალ კალაძეც ჩამოვა, შემოგვიერთდება დემეტრაძეც და ჩემს მოთხოვნებს, აზრს ყველას ერთად გავუზიარებ. თუ ვინმემ დააშავა, არ დაემორჩილა მწვრთნელს, დაარღვია რეჟიმი, მის მიმართ მკაცრი ვიქნები.

ივნისში თამაში საქართველოს ნაკრებს კარგად აქვს დაცდილი თუ ცუდად, კალენდარს ვერ შევცვლით. 11 ივნისს ყველა ქვეყნა თამაშობს და ყველა ჩვენს დღეშია. ევროპაში ხომ სეზონი დამთავრებულია.

ირლანდიის ნაკრებზე ყოველდღიურად ვიღებთ ახალ ინფორმაციებს, თუმც ეს ახლა ნაკლებმნიშვნელოვანია, რადგან ჩვენამდე ირლანდია ალბანეთს მასპინძლობს და შესაძლოა, ამ მატჩის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალოს. ჩვენ მხოლოდ ჩვენს თავზე ვფიქრობთ. ირლანდიურ ამბებს კი დუბლინში ოთარ გაბელია დაგვახვედრებს, რომელიც ალბანეთთან შეხვედრას დაესწრება.

**ძობა ინასარიძე**

# გულდაწყვეტილი ასათიანი:

## ქინქლაძე თამაშს გამიადვილებს

*მალხაზ ასათიანმა ეროვნულ ნაკრებში სადებიუტო მატჩშივე გაიბრწყინა — რუსეთთან ჩინებულად ითამაშა და გამარჯვების გოლიც გაიტანა. ახლა მისგან სულ უფრო და უფრო მეტს ველით — 21 წლის ასათიანი ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედი*

**— მოსკოვის „ლოკომოტივის“ ძირითადში შენი დამკვიდრება ცოტა ხომ არ ჭიანურდება?**

— რუსეთთან თამაშის მერე ცსკასთან ძირითადში დამაყენეს, მაგრამ თავდასხმაში, სადაც მარტო მე ვიყავი — ასეთ ამპლუაში ყოფნა ძალიან გამიჭირდა. ისე კი, რუსეთთან ჩემი თამაშით იური სიომინი კმაყოფილი გახლდათ და მისგან ნდობას ვგრძნობ, მაგრამ გული მწყდება, რომ „ლოკომოტივში“ ჯერ ისე ვერ ვითამაშე, როგორსაც ჩემგან ელიან — ფლანგებზე მათამაშებენ და ალბათ ესეც მიშლის ხელს. ნახევარდაცვის შუაში კი ლოსკოვია და სანამ ის არის, ძნელია ამ პოზიციაზე დამკვიდრება.

**— ირლანდიის დამარცხება კი კიდევ უფრო ძნელია?**

— მოგების შემთხვევაში დიდი შანსი გაგვიჩნდება ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად. ირლანდია ძალიან ძლიერი გუნდია, მაგრამ შეუძლებელი არაფერია — რუსეთიც ფაქტობრივად იგივე დონის გუნდია, რაც ირლანდია და მისი დამარცხება ხომ შევძელით?!

**— რუსეთთან მატჩისთვის ორი ხელშემწყობი ფაქტორიც გვიმაგრებდა ზურგს — ახალი მწვრთნელი და ის, რომ რუსეთს ვეთამაშებოდით. რა დამატებითი მოტივაცია გაგვაჩნია საირლანდიოდ?**

— ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ წინა შეხვედრაში გავიმარჯვეთ და მოგებული მატჩის შემდეგ უფრო მეტი მონდომებით ვითამაშებთ. თანაც ისეთი ფეხბურთელები დაგვემატნენ, ქინქლაძე და არველაძე რომ არიან.

**— როგორ ფიქრობ, ნაკრებში შენი და ქინქლაძის ერთად თამაში მოხერხდება?**



— კარგი ფეხბურთელებისთვის ადგილი გუნდში ყოველთვის მოიძებნება. ქინქლაძეს ძალიან ვაფასებ როგორც ფეხბურთელსა და პიროვნებას. ის დიდი დონის ფეხბურთელია და დიდი გამოცდილებაც აქვს — მასთან ერთად თამაში გამიადვილდება.

**დავით თავართქილაძე**

# მომეცით ბურთი, რათა გავიქცე

*ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ირლანდიასთან ივო შუშაკი მარჯვენა ფლანგს ისევ ლადო ბურდულს ანდობს – როგორც არ უნდა იყოს, სხვა მარჯვენაფლანგელი შუშაკს უბრალოდ ამ დროისთვის არ ჰყავს...*

**— გასვლაზე თამაშობთ და სწრაფი კონტრშეტევები ალბათ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. აქედან გამომდინარე, შენც განსაკუთრებული როლი დაგეკისრება...**

— მეც ვფიქრობ, რომ უფრო კონტრშეტევებზე მოგვიწევს თამაში და ფლანგური შეტევები დიდად მნიშვნელოვანი უნდა იყოს. შუშაკი „დინამოშიც“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ფლანგებზე თამაშს. როცა შინ ვხვდებოდით ირლანდიას, მარჯვენა ფლანგზე ცქიტიშვილი თამაშობდა. მისი მეურვე ხშირად ცენტრისკენ შედიოდა და ცქიტიშვილიც მარტო რჩებოდა, მაგრამ ბურთს რატომღაც არ აწვდიდნენ.

**— შენ კი ახლა სიურპრიზს მოუმზადებ ირლანდიელებს?**

— თუ საშუალება მომეცა, აუცილებლად გავიქცევი და შევუტევ მარჯვნიდან.

**— კონტრშეტევებზე თამაში ერთია, მაგრამ მთლიანობაში მაინც რის ხარჯზე შეუძლია საქართველოს ნაკრებს წარმატების მიღწევა?**

— სათამაშო დისციპლინის ხარჯზე. შუშაკი ამოსუნთქვის საშუალებას არ გვაძლევს — დავკარგავთ თუ არა ბურთს, ყველა თავის ადგილზე უნდა იდგეს, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ერთი სიტყვით, იმის იმედი მაქვს, რომ ფეხბურთელები ერთმანეთის გვერდით ვიდგებით.



**— „სარბიელთან“ ერთ-ერთ ინტერვიუში შუშაკმა თქვა, ვინძლო ირლანდიასთან ოთხი მცველით ვითამაშოთო. ასეთ შემთხვევაში მთლიანად ფლანგის კონტროლი აღარ დაგევალება და უფრო გაგიადვილდება შეტევაში თამაში?**

— შეიძლება ასეც იყოს. როცა უკან თანაგუნდელი გყავს, მისი გეიმედება და უფრო გაბედულად მიდიხარ წინ. მაგრამ 3-5-2-ს შეჩვეული ვარ და შეტევას ასეთ განლაგების შემთხვევაშიც არ დავაკლებ.

**დავით თავართქილაძე**



საქართველოს 14 ჩემპიონატი

## გადათამაშება

# გორდა პირველში ჩაგორდა

თბილისი. 4 ივნისი. 18 საათი. ეროვნული. 1 000 (ტევადობა 70 900)

### მცხეთა 1:0 დ.დ. (0:0) გორდა

1:0 ლ. ქებაძე (110)

*გ. ქებაძემ ვერ გაიტანა პენალტი (95, ააცილა)*

**მცხეთა:** ოდიკაძე, ამბიძე, ძაგნიძე, გ. ქებაძე, კარიაული, ავალიანი, ლ. ჩხაიძე, ჩაჩუა (ჩიტაური 89), თირქია (რაქვიაშვილი 115), ლ. ქებაძე, მ. არეშიძე (შელიქია 64)
*სათადარიგონი:* ცინცაძე, მგელაძე, კირვალიძე, სუბელიანი
**მწვრთნელი:** თემურ ჩხაიძე

**გორდა:** ჯანიაშვილი, კედელაშვილი, არსოშვილი, ბერიძე, სილაგაძე, ზვ. ლაბაძე, ზ. ლაბაძე (პაპაშვილი 61), ჩოხელი, ბ. ნოზაძე, ადეიშვილი, ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* პიპილაშვილი, ვ. ჩხაიძე, სოზაშვილი, გაბრიჭიძე, თ. ჩხაიძე
**მწვრთნელი:** იასონ ალადაშვილი

**გაფრთხილება:** ლ. ჩხაიძე (43), ბერიძე (43), კედელაშვილი (56), გ. ქებაძე (88), ლ. ალადაშვილი (100)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. მჟავანაძე (თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე; **დირექტორი:** ნ. კაკულია

ჯარიმა: 22-26; კუთხური: 3-3; კარისკენ დარტყმა: 5-3; კარში დარტყმა: 5-2; თამაშგარე: 8-4

**მამუკა კვანტალიანი**

**რამდენიმეწლიანი** წვალებისა და გაჭირვების შემდეგ რუსთავის „გორდა“ გუშინ უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა. საქართველოს ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი, ერთხელაც თასის ფინალისტი, ერთ დროს თავმომწონე რუსთავული კლუბი საფეხბურთო ღმერთმა და პატარა „მცხეთამ“ შეიწირა.

„გორდა“ გასულ სეზონში გავარდნას ბეწვზე გადაურჩა, მანამდეც ხომ ღვთის ანაბარა ინარჩუნებდა ადგილს უმაღლეს ლიგაში, თანაც ძმები კილასონიები გაჭირვების ტალკვესებად ჰყავდა და ასე თუ ისე თავი გაჰქონდა.

„გორდა“ უფრო ადრე რომ ჩაძირულიყო, იქნებ ახლა ყოფილიყო დალხენილი, პატრონ-მყვარებელიც კარგი ჰყოლოდა და ასე მშიერ-მწყურვალსაც არ ეწანწალა. რუსთავში დღეს ფეხბურთისთვის თითქმის არავის სცხელა, გუნდი, რომელსაც ყველა საფეხბურთო სიკეთე აკლია, გავარდნას იმსახურებდა. ამიტომაც გვგონია, რუსთაველთა თავკაც იასონ ალადაშვილის პრეტენზიები უსაფუძვლო, ვისაც მთელი 120 წუთის მანძილზე მსაჯების გაკრიტიკების გარდა ბევრიც არაფერი უკეთებია.

ვერაფრით დავიჩემებთ, რომ გუშინს აქეთ უმაღლეს ლიგაში აღზევებული „მცხეთა“ უძლიერესებში ღირსეულად ითამაშებს და ერთ წელიწადში უკანვე არ დაბრუნდება, მაგრამ ნურც იმ ბიჭებს დავუკარგავთ ჯაფას, გუშინ საკუთარ ოსტატობაზე რომ ამაღლდნენ.

თავად თამაში კი დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა. დაბალი ტემპი, ბევრი ორმხრივი შეცდომა და კანტიკუნტად, ორივე კართან გაცუდებული მომენტები. თამაშის დაწყებიდან რამდენიმე წუთში „ეროვნულზე“ მისული გულშემატკივრები უკვე აღიარებდნენ, რომ გამარჯვებულის გამოსავლენად 90 წუთი საკმარისი არ იქნებოდა. ბევრი იმაზე წუხდა, 120 წუთი ამ საცოდაობას რა გაუძლებსო. ქომაგი დამატებით დროშიღა გამოცოცხლდა, მაშინ, როცა მეტოქეებს დაღლილობა დაეტყოთ და შეცდომებმაც იმატა.

თავიდან უფრო მობილური „გორდა“ ჩანდა. უმაღლესი ლიგის გამოცდილება რუსთაველებს ანიჭებდა უპირატესობას. ახალგაზრდა მცხეთელები ნერვიულობდნენ და პირველ ტაიმში ორჯერ საგოლეღაც შეცდნენ. ორჯერვე რუსთაველი ადეიშვილი იყო ახლოს მიზანთან, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა. ჯერ მისი მაკრატელა გაცუდდა, მერე კი მცველის შეცდომით ვერ ისარგებლა და ბურთიც კარს გადააცილა.

„გორდას“ თამაშის მიწურულსაც შეეძლო საქმე სათავისოდ დაესრულებინა, მაგრამ მცხეთელ მცველთა არეულობით ლაშა ალადაშვილმა ვერ ისარგებლა — მეკარესთან პირისპირ გასულმა ძლიერად კი დაარტყა, მაგრამ არც ოდიკაძე გამოდგა ჯაბანი და დარტყმული უკუაგდო.

ძირითად დროში „მცხეთამ“ ერთი გოლი კი შეაგდო, მაგრამ თანამსაჯმა ლევან მიქელაძემ დროშა ააფრიალა და მათი ნაადრევი სიხარული სინანულად აქცია. ამის გარდა, თემურ ჩხაიძის შეგირდებს გატანა ერთხელაც შეეძლოთ, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა მელიქიამ ჯანიაშვილს ვერ აჯობა.

დამატებით დროში „გორდამ“ ისეთი ბოლი გაუშვა, ოდესღაც რუსთავის მეტალურგიული კომბინატის მილებიდან რომ ამოდიოდა. აშკარა იყო, „მცხეთას“ მეტი ძალა შერჩენოდა და მის გამოყენებასაც ეცდებოდა. 95-ე წუთზე „გორდას“ დაცვის ჩაფლავების შემდეგ ავალიანი საჯარიმოში მარჯვნიდან შეიჭრა და კარის გასწვრივ ჩააწოდა, მაგრამ მცველს ბურთი ხელზე მოხვდა და შილაკაძის სასტვენმაც არ დააყოვნა. პენალტი გიორგი ქებაძემ დაარტყა, ჯანიაშვილი სხვა მხარეს კი გადაახტუნა, მაგრამ ბურთი კარსაც ააცილა. ასეთი შანსის გამოუყენებლობა თითქოს რუსთაველთა წისქვილზე ასხამდა წყალს, თუმც იასონ ალადაშვილის გუნდი სასოწარკვეთილი გახლდათ.

„მცხეთამ“ ხუთ წუთში გამარჯვებისა შეაგდო. ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს ლევან ქებაძემ ჭვინტი წაჰკრა და რუსთაველთა კარის ბადეც შეირხა. თემურ ჩხაიძის ბიჭებმა ერთიც გაიტანეს, მაგრამ ლევან მიქელაძეს დროშა ისევ ამაყად ეჭირა.

მალე შილაკაძემაც საფინალოდ ჩასტვინა. მცხეთელები სიხარულით მეცხრე ცაზე იყვნენ, რუსთაველები კი, რაღა საკითხავია, მინდორზე ჩაკეცილიყვნენ. მცხეთელებმა ჯერ მწვრთნელი აბურთავეს, რომელიც მთელი მატჩის მანძილზე ტრიბუნაზე იჯდა და იქიდან მოძღვრავდა შეგირდებს, მერე პრეზიდენტი გუცაევიც მოიკითხეს.

თემურ ჩხაიძემ ბევრიც ვერაფერი თქვა, ძალიან გახარებული და დაბნეული ვარო. ვლადიმერ გუცაევმა, გუნდს გავაძლიერებთ, უმაღლესში თავს არ შევირცხვენთო და...

გუშინ მცხეთაში პატარა „მცხეთა“ დილამდე ქეიფობდა.



ლაშა ალადაშვილმა მცხეთელთა მეკარე თამაზ ოდიკაძეს ვერ აჯობა



უმაღლესლიგელი „მცხეთა“

საქართველოს 14 ჩემპიონატი პირველი ლიგა

## მატჩი პირველი ადგილისთვის

ფოთი. 4 ივნისი. 18 საათი. ფაზისი

### ლაზიკა 3:2 მერცხალი

# ჩემპიონი ტორპედოა

## მოწინავე ოთხეულის ურთიერთშეხვედრები

### საბოლოო ვითარება

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | | 0:1<br>1:0 | 1:1<br>2:1 | 1:0<br>0:0 | 6 | 3 | 3 | 11-7 | 21 |
| დინამო | 0:0<br>0:2 | | 1:0<br>3:0 | 0:1<br>3:1 | 5 | 3 | 4 | 10-7 | 18 |
| ლოკომოტივი | 2:0<br>1:0 | 1:0<br>0:1 | | 2:1<br>1:1 | 5 | 2 | 5 | 12-12 | 17 |
| ვიტ ჯორჯია | 1:3<br>0:1 | 1:1<br>0:0 | 1:3<br>1:0 | | 2 | 4 | 6 | 8-15 | 10 |

**გუშინ** „გორდა“ — „მცხეთას“ გადათამაშებით ოფიციალურად დასრულდა მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატი. თავიდანვე ცხადი იყო, ჩემპიონი ზედა ოთხ გუნდში იყო საძიებელი. „დინამო“, „ტორპედო“, „ვიტ ჯორჯია“ და „ლოკომოტივი“ დანარჩენებს ფულითაც აღემატებოდნენ და მწვრთნელფეხბურთელებიც სოლიდური ჰყავდათ.

უცხოეთის ჩემპიონატებში ბევრ რამეს წყვეტს ფავორიტთა ურთიერთშეხვედრები. მაგალითისთვის ცოტა ხნის წინ დასრულებული ჰოლანდიის პირველობაც გამოდგება. „ეინდჰოვენმა“ სწორედ „აიაქსთან“ და „ფეიენოორდთან“ დაგროვილი უკეთესი ქულათა მარაგის ხარჯზე გაინაღდა ოქრო. ასე იყო საფრანგეთშიც. „ლიონს“ გასაჩემპიონებლად დანარჩენ ფავორიტებთან ჩაუქობა შეეშველა.

ჩვენთან ამ მხრივ ყველაფერი პირიქით მოხდა და თუ რატომ, ამას წარმოდგენილი ცხრილიდან შეიტყობთ.

რჩეულ ქართულ ოთხეულს ორივე ეტაპზე ორ-ორჯერ მოუხდათ ერთმანეთთან თამაში. პირველი ეტაპის შემდეგ ყველაზე მეტი ქულა „ლოკომოტივმა“ დააგროვა. რკინიგზელთა გუნდმა საშინაო მატჩებში სამივე ფავორიტს სძლია, სტუმრად კი „ვიტ ჯორჯიაც“ მოინელა, ქულა გაიყო „ტორპედოსთან“ და მხოლოდ ეროვნულზე დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან. ახლა ის ვიკითხოთ, რა მისცა ამან ვაკელებს? ფაქტობრივად, არაფერი, გუნდი მეორე ეტაპის დაწყებას მესამე ადგილზე შეხვდა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ მომავალი ჩემპიონი „დინამო“ პირველი ეტაპის შემდეგ ფავორიტებთან ურთიერთშეხვედრების შედეგებით მესამე ადგილზე გახლდათ.

მეორე ეტაპზე ოთხეულში „ტორპედომ“ იყოჩაღა. ქუთაისელებმა კონკურენტებთან ჭიდილში 13 ქულა დააგროვეს. ათ ქულას მოუყარა თავი „დინამომ“, ვინ უფრო იხეირა ამით? რაღა თქმა უნდა, შუშაკის გუნდმა, რაკიღა ჩემპიონობა მოიპოვა.

„ტორპედო“ ოთხეულის ურთიერთშეხვედრებით ორივე ეტაპის გამარჯვებულიც გახდა. რიონისპირელებმა კონკურენტებთან ჩატარებული 12 მატჩიდან ნახევარი მოიგეს, მაგრამ ქუთაისელებს ამ უპირატესობამ მხოლოდ მეორე ადგილი და ვერცხლი მოუტანა.

**პაატა კვანტალიანი**

# ამხანაგური მატჩები



ჯო კოულის გვიანმა გოლმა სტუმრები სახტად დატოვა

## ტაში შიშის გამო

### ორსახელიანმა ერთმა ქვეყანამ ერთი ორმაგი გოლი გაიტანა

**ინგლისი 2:1 სერბეთი და ჩერნოგორია**

**1:0 ჯერარდი (35), 1:1 იესტროვიჩი (45), 2:1 ჯ. კოული (82)**

**ინგლისი: ჯეიმსი, მილსი (კარაგერი 62), აპსონი (ბერი 46), საუთგეიტი (ტერი 46), ე. კოული, ჯერარდი (ჯენასი 46), სქოულზი (ჰარგრივსი 46), ფ. ნევილი (ბიტი 85), ლამპარდი (ჯ. კოული 62), ოუენი (რუნი 46), ჰესკი (ვასელი 62)**

**მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი**

**სერბეთი: ჟევრიჩი (ზილიჩი 67), მირკოვიჩი (ბრნოვიჩი 46), დმიტროვიჩი (ტრობოკი 46), ვიდიჩი, სტეფანოვიჩი (კრსტაიჩი 50), ნ. კოვაჩევიჩი (მალბასა 46), ვუკიჩი (ნ. ჯორჯევიჩი 46), იესტროვიჩი (მილოშევიჩი 75), დულიაი (ბ. ბოშკოვიჩი 46), მარკოვიჩი (ნიეგუსი 68), ილიჩი (მიატოვიჩი 68)**

**მწვრთნელი: დეიან სავიჩევიჩი**

**მსაჯი: პოლ ალერტსი (ბელგია)**

**32 000 მაყურებელი**

ფეხბურთი ფეხბურთად და ეს მატჩი სხვა რამითაც იყო მნიშვნელოვანი ინგლისელებისთვის. გახსოვებათ, რომ სანდერლენდში, თურქეთთან მატჩის წინ ინგლისელმა ფანებმა თურქეთა ჰიმნის შესრულებისას საშინელი სტვენა ატეხეს და თამაშის მსვლელობის დროსაც უწესოდ მოიქცნენ. ამის გამო ინგლისის ნაკრები მომდევნო ოფიციალური მატჩის ცარიელ სტადიონზე ჩატარების საფრთხის წინაშე დადგა. ჰოდა, სერბებთან თამაშის დაწყებამდე სვენ გორან ერიკსონს თხოვნაც კი დასჭირდა, ხალხო, უეფას ცალი კი არა, ორივე თვალი და ყური ჩვენსკენ აქვს მოპყრობილი და აბა, თქვენ იცით, როგორ წესიერად მოიქცევითო. ხალხი მართლაც ძალიან წესიერად მოიქცა — სერბთა ჰიმნის შესრულებისას ფეხზე წამოდგნენ და ტაშიც შემოჰკრეს, თამაშის დროსაც არაფერი მომხდარა. აქა-იქ, ანტირასისტულ პლაკატებსაც კი მოჰკრავდით თვალს.

ახლა კი უშუალოდ თამაშზე. ერიკსონის ბიჭებმა ჯო კოულის პირველი სანაკრებო გოლით დაამარცხეს სერბეთისა და ჩერნოგორიის ნაკრები. მატჩი ამხანაგური იყო და ლესტერის „უოლკერსზე" ჩატარდა.

ანგარიში სტივენ ჯერარდმა გახსნა, ნენად იესტროვიჩმა პირველი ტაიმის წამატებულ წუთებზე გაათანაბრა, შეცვლაზე შესულმა ჯო კოულმა კი თამაშის მიწურულს ჯადო-საჯარიმოთი გაიტანა.

ორივე გუნდისთვის ეს ბოლო საკონტროლო შეხვედრა იყო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წინ. ინგლისელები იქეთა ოთხშაბათს სლოვაკეთს მასპინძლობენ, ხოლო ყოფილი იუგოსლაველები შაბათს ფინელებს ხვდებიან, ოთხშაბათს კი აზერბაიჯანელებს.

თამაშის ტემპი მალიმალ იცვლებოდა, რაც ფეხბურთელებისა და ტაქტიკის მუდმივი ცვლილებებით იყო განპირობებული. ეს მეტისმეტად ფრთხილი თამაშიც გახლდათ, რაკი, აბა, ვის უნდა უმნიშვნელოვანესი შესარჩევი მატჩების წინ დაშავება. ერთი სიტყვით, ჯერარდის გოლამდე საინტერესო არაფერი მომხდარა.

ანგარიში კი ასე გაიხსნა: ლივერპულელმა ნახევარმცველმა მარცხენა ფლანგზე ჩააწოდა თანაგუნდელსა და დევიდ ბექჰემის არყოფნაში ნაკრების კაპიტან მაიკლ ოუენს, თვითონ წინ გაიჭრა, ოუენმა ბურთი დაუბრუნა და ჯერარდმაც ერთი შეხებით კარში ჩააჭედა.

ინგლისელები ამის მერე თამაშს აკონტროლებდნენ, მაგრამ ტაიმის მიწურულს ერთი შეცდომა საპასუხო გოლად დაუჯდათ. ზვონიმირ ვუკიჩმა კუთხური ჩააწოდა. იესტროვიჩმა თავური დაჰკრა, რომელსაც ეშლი კოულმა უკვე კარის ხაზს მიღმა მიუსწრო, თუმცა, ემანდ მსაჯი არ შეცდესო და იესტროვიჩმა, მეტი საიმედოობისთვის, დაამატა.

ერიკსონმა შესვენებისას ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი შეცვალა, მას არც სტუმრები ჩამორჩნენ. თუმც ინგლისელთა ორმა ცვლილებამ ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია: ემილ ჰესკი ხომ ძველი ლესტერელია და ლესტერელებს მისი მეორე ტაიმში ხილვაც სურდათ. ხალხს არც ოუენის გაყვანა ეამა, ერჩივნათ, უეინ რუნი ვინმე სხვა ფეხბურთელის მაგიერ შესულიყო.

ნამატჩევს ერიკსონმა თქვა, გარეთ საუთგეიტი, ეშლი კოული, პოლ სქოულზი, მაიკლ [illegible]ენი და სტივენ ჯერარდი მხოლო[illegible] იმიტომ შევცვალე, რომ ტრავმების [illegible], მსურს, ეს ბიჭები სლოვაკეთთა[illegible] მატჩს სრულ მზადყოფნაში შეხვდნენო.

მეორე ტაიმში თითო ოროლა [illegible]რიანი მომენტი შეიქმნა, რასაც ბოლოსკენ ჯო კოულის მეცხრე სანაკრებო შეხვედრაში პირველი გოლი მოჰყვა და თამაშიც ამით დასრულდა.

**ერაკლი ნინიძე**



ნენად იესტროვიჩის დარტყმულს ეშლი კოული კარის ხაზს მიღმა ეგებება

## კამპობასოს დონეზე



დევიდ ჰილი და ფაბრიციო მიკოლი

**იტალია 2:0 ჩრდ. ირლანდია**

**1:0 კორადი (31), 2:0 დელვეკიო (67)**

**იტალია: ტოლდო, ოდო, ლეგროტალიე (ბონერა 57), კანავარო (ფერარი 46), გროსო (ნერვო 69), ფიორე, ამბროზინი, პეროტა (ტომაზი 57), დი ვაიო (ბირინდელი 69), კორადი (დელვეკიო 46), მიკოლი (დი ნატალე 57)**

**მწვრთნელი: ჯოვანი ტრაპატონი**

**ჩრდ. ირლანდია: მ. ტეილორი (კეროლი 55), ბაირდი, ა. ჰიუზი, მაკკარტნი, კენედი (მ. უილიამსი 55), გრიფინი, ტ. დოჰერტი (ს. ელიოტი 86), დ. ჯონსონი (ტონერი 68), ჰილი (ჰამილტონი 75), მაკვეიგი (ს. ჯონსი 55), ე. სმიტი**

**მწვრთნელი: სემი მაკილროი**

**მსაჯი: ლუსილიუ ბატისტა კორტესი (პორტუგალია)**

**22 000 მაყურებელი**

ბერნარდო კორადისა და მარკო დელვეკიოს გოლებმა იტალიის ნაკრების შესუსტებულ შემადგენლობას ჩრდილო ირლანდიასთან მოაგებინა. კორადიმ ანგარიში 31-ე წუთზე გახსნა, ხოლო შეცვლაზე შესულმა დელვეკიომ 67-ე წუთზე გააორმაგა ანგარიში. ეს ამხანაგური თამაში „სკუადრა აძურას" ფინეთთან შესარჩევი მატჩისთვის მოსამზადებლად სჭირდებოდა.

ბრიტანელებს, კერძოდ კი სტივ ჯონსს, 76-ე წუთზე თავურით შეეძლო ანგარიშის შემცირება — რომ გაეტანა, ჩრდილო ირლანდია 15 თვიან უგოლო ხანას დაასრულებდა — მაგრამ იტალიელთა გოლკიპერმა ფრანჩესკო ტოლდომ ჩინებული რეაქციით დაიცვა კარი.

ჩრდილოირლანდიელებმა ბოლოს 2002 წლის თებერვალში პოლონეთს გაუტანეს და ის თამაშიც წააგეს, 1:4, ხოლო მას მერე, აგერ უკვე ცხრა მატჩია, მათ თავდამსხმას სასიკეთო არაფერი გამოუდნია. რაც შეეხება ბოლო გამარჯვებას, ეს 2001 წლის ამბავია, მაშინ ბრიტანელებმა მალტას აჯობეს.

ხოლო ჯოვანი ტრაპატონის „სკუადრა აძურამ" ამ წელიწადს ოთხი თამაშიდან ოთხი მოიგო.

ჩრდილოირლანდიელთა მწვრთნელმა, სემი მაკილ როიმ იტალიელებთან შეხვედრაში „საუთჰემპტონის" მცველს, კრის ბაირდის, „ბრისტოლ სიტის" ნახევარმცველს ტომი დოჰერტისა და „გლენტორანის" თავდამსხმელს ენდრიუ სმიტს ნაკრებში სადებიუტო თამაშის საშუალება მისცა. ჩამოთვლილთაგან სმიტი, ბოლო ორ წელიწადში პირველია, ვინც ეროვნულ გუნდში ირლანდიური ლიგიდან გაიკვალა გზა.

ორივე მწვრთნელმა ისარგებლა შეუზღუდავი ცვლილებების უფლებით და ამან თამაშს დაღი დაასვა — გააფუჭა.

თამაში იტალიის სამხრეთით, ქალაქ კამპობასოში გაიმართა და შემოსული თანხა 31 ოქტომბრის მიწისძვრით დალუპულთა ოჯახებს გადაეცა. საქმე ის გახლავთ, რომ მიწისძვრამ კამპობასოს ახლოს, სოფელ სან ჯულიანო დი პილიაში სკოლის შენობა დაანგრია და 30 ადამიანი, მათ შორის სამი ბავშვი იმსხვერპლა.

**პაატა ბეჩია**



მარკო დელვეკიომ გაიტანა და 22 ათას კამპობასოელს მოუსმინა



# ყველაფერი დანარჩენისთვის მასტერკარდი არსებობს

## სიმბოლური ნაკრები სერ ბობიმ და ეუსებიომ შეადგინეს



სერ ბობი ჩარლტონმა და ეუსებიომ ჩემპიონთა ლიგის მთავარი სპონსორის, MASTERCARD-ის დავალებით ამ სეზონის ლიგის სიმბოლური ნაკრები დაასახელეს, რომელიც ასე გამოიყურება: ჯანლუიჯი ბუფონი, ლილიან ტურამი, რიო ფერდინანდი, პაოლო მალდინი, ლუსიო, დევიდ ბექჰემი, პატრიკ ვიეირა, ზინედინ ზიდანი, რივალდო, რუუდ ვან ნისტელროი, ტიერი ანრი. ფოტოებზეც ფეხბურთელები ამ თანმიმდევრობით გვყავს დალაგებული.

როგორც ხედავთ, სიმბოლური ნაკრების შემდგენლები 4-4-2 სქემას დაეყრდნენ. თავისთავად ამაში გასაკვირი არაფერია, მაგრამ შემადგენლობაში შესული (და არშესული) ზოგიერთი ფეხბურთელი კი ნამდვილად გაკვირვებას იწვევს. რა თქმა უნდა, ჩამოთვლილი თერთმეტივე ფეხბურთელი ჩინებული მოთამაშეა, მაგრამ...

შეამჩნევდით, რომ სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე მეტი, 3 ფეხბურთელი „მანჩესტერ იუნაიტედს" ჰყავს. მსოფლიო ფეხბურთის ორმა ლეგენდამ „წითელი ეშმაკების" მოთამაშეებზე შემდეგი კომენტარი გააკეთა: „ფერდინანდი ჩინებულ ტექნიკასა და სისწრაფეს ფლობს. მთელი ტურნირის მანძილზე მის პოზიციაზე მისი მსგავსი არავინ იყო."

„ბექჰემი მოწინააღმდეგეთათვის მომაკვდინებელი ფეხბურთელია. იგი განსაკუთრებით სახიფათოა, როცა საქმე ოციოდე მეტრიდან შესასრულებელ ჯარიმებს ეხება."

„ვან ნისტელროი მთელი სეზონის მანძილზე ბრწყინვალედ ირჯებოდა. მისი შეუპოვრობა და გოლები ყველაფერზე თავისთავად მეტყველებს."

ბობი ჩარლტონი და ეუსებიო თავიდან ვან ნისტელროის გვერდით (რომელიც უკონკურენტო გახლდათ) რაულის დაყენებას აპირებდნენ, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრეს და საბოლოო არჩევანი ტიერი ანრიზე გააკეთეს. „იგი იმდენად სწრაფია, რომ თვითონაც ვერ ამჩნევს, რამდენ ენერგიას ხარჯავენ მცველები მასთან ჭიდილში" — განაცხადეს მათ ანრიზე.

რობერტო კარლოსსა და პაოლო მალდინის შორის კი ბობი ჩარლტონი და ეუსებიო ამ უკანასკნელზე იმიტომ შეჩერდნენ, რომ მათი აზრით, იტალიელი გაცილებით უკეთ ასრულებს თავის უშუალო მოვალეობას. ეს მართლაც ასეა, მაგრამ მაშინ ძნელი სათქმელია, რატომ მოხვდა სიმბოლურ შემადგენლობაში ლუსიო, რომელიც შეტევაში ძალიან ხშირად ერთვება, ხოლო თუ როგორ ითამაშა „ლევერკუზენმა" დაცვაში, თავადაც კარგად მოგეხსენებათ.

გარდა ამისა, სიმბოლური ნაკრების შემდგენლებმა თავიანთი აზრი რივალდოსა და ვიეირაზეც გამოთქვეს, ვიეირას თავის საქმეში ბადალი არ ჰყავს, ხოლო რივალდო უბრალოდ, დიადი ფეხბურთელიაო. ესეც უდავოა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ბრაზილიელმა სეზონის დიდი ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ძნელი სათქმელია, რატომ არ მოხვდა შემადგენლობაში, ვთქვათ, პაველ ნედვედი. თუმცა ამგვარ სიმბოლურ ნაკრებებს დიდი მნიშვნელობა არასოდეს ენიჭება და ყველა თავის აზრზე რჩება.

**გიორგი ძაძამიძე**



ეუსებიომ და ბობი ჩარლტონმა შეკვეთილი შემადგენლობა ჩამოწერეს




„პორტუ" გაისად ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, უეფას თასი კი სხვებისთვის დაუთმია

# ისინი ითამაშებენ უეფას თასზე

| ქვეყანა | საკვალიფიკაციო ეტაპი | პირველი ეტაპი |
|---|---|---|
| | | ინტერტოტოს სამი გამარჯვებული |
| | მანჩესტერ სიტი (ფეირ პლეი) | |
| | ფეირ პლეის ორი გამარჯვებული | |
| ალბანეთი | ტირანა ან ტეუტა (თ.მ.) | |
| | ვლაჭნია (2) | |
| ანდორა | სანტა კოლომა (ჩ) | |
| სომხეთი | მიკა (თ.მ), შირაქი (2) | |
| ავსტრია | ზალცბურგი (3) | კერნტენი (თ.ფ) |
| აზერბაიჯანი | არავინ | |
| ბელგია | ლოკერენი (3) | ლუვიე (თ.მ) |
| ბოსნია | ჟელეზნიჩარი (თ.მ), სარაევო (3) | |
| ბელარუსი | დინამო (თ.მ), გროდნო (2) | |
| ბულგარეთი | ლევსკი (თ.მ), ლიტექსი (3) | |
| ხორვატია | თასის მფლობელი და მეორე და მესამეადგილოსნები | |
| კვიპროსი | ანორთოსისი (თ.მ), აპოელი (3) | |
| ჩეხეთი | ლიბერეცი (3) | ტეპლიცე (თ.მ) |
| დანია | თასის მფლობელი , მეორე და მესამეადგილოსნები | |
| ინგლისი | | საუთჰემპტონი (თ.ფ), ლივერპული (5), ბლექბერნი (6) |
| ესპანეთი | | თასის მფლობელი, მეხუთე და მეექვსე ადგილოსნები |
| ესტონეთი | ტალინი (თ.მ), ლევადია (2) | |
| ფარერები | რუნავიკი (თ.მ), კლაკსვიკი (2) | |
| ფინეთი | ჰაკა (თ.მ), მიუპა (2) | |
| საფრანგეთი | | ოსერი (თ.მ), ბორდო (4), სოშო (5) |
| საქართველო | სიონი (თ.ფ), ტორპედო (2) | |
| გერმანია | | კაიზერსლაუტერნი (თ.ფ), ჰამბურგი (4), ჰერტა (5) |
| საბერძნეთი | | პაოკ (თ.მ), პანიონიოსი (5), არისი (6) |
| ჰოლანდია | | უტრეხტი (თ.მ), ფეიენოორდი (3), ბრედა (4), ნაიმეგენი (5) |
| უნგრეთი | ფერენცვაროში (თ.მ), დებრეცენი (3) | |
| ირლანდია | დერი სიტი (თ.მ), შემროკი (2) | |
| ისლანდია | ფილკირი (თ.მ), გრინდავიკი (3) | |
| ისრაელი | ჰაპოელი რამათ განი (თ.მ), მაკაბი ჰაიფა (2), ჰაპოელი თელ ავივი (3) | |
| იტალია | | რომა (თ.ფ), პარმა (5), უდინეზე (6) |
| ყაზახეთი | ჟენისი (თ.მ), ატირაუ (2) | |
| ლატვია | მეტალურგსი (თ.ფ), ვენტსპილსი (2) | |
| ლიხტენშტაინი | თასის მფლობელი | |
| ლიტვა | ატლანტასი (თ.მ), ეკრანასი (3) | |
| ლუქსემბურგი | თასის მფლობელი, გრევენმახერი (2) | |
| მაკედონია | ცემენტარნიცა (თ.მ), ბელასიცა (2) | |
| მალტა | ბირკირკარა (თ.მ), ლა ვალეტა (2) | |
| მოლდოვა | ზიმბრუ (თ.მ), ნისტრუ (3) | |
| ჩრდ. ირლანდია | კოლრეინი (თ.მ), გლენტორანი (2) | |
| ნორვეგია | ლინი (3) | ვალერენგა (თ.მ), მიოლდე (2) |
| პოლონეთი | პლოცკი (თ.ფ), გროცლინი (2), კატოვიცე (3) | |
| პორტუგალია | სპორტინგი (3) | ლეირია (თ.ფ) |
| რუმინეთი | დინამო (თ.მ), სტიაუა (2) | |
| რუსეთი | სპარტაკი ან ტორპედო | სპარტაკი ან როსტოვი |
| სერბეთი | სარტიდი (თ.მ), ცრვენა ზვეზდა (2) | |
| შოტლანდია | ჰართსი (3) | დანდი (თ.ფ) |
| სლოვენია | ოლიმპია (თ.მ), მეორეადგილოსანი | |
| სან მარინო | დომანანო (ჩ) | |
| შვეიცარია | ბაზელი (თ.მ), ქსამაქსი (3), იანგ ბოისი (4) | |
| სლოვაკეთი | პუხოვი (თ.მ), მეორეადგილოსანი | |
| შვედეთი | აიკ (თ.ფ), მალმიო (2) | |
| თურქეთი | | ტრაბზონი (თ.მ), გენჩლერი (3), გაზიანთეფი (4), მალათია (5) |
| უკრაინა | მეოთხეადგილოსანი | მესამეადგილოსანი |
| უელსი | ქუიმბრანი (თ.ფ), ლანსანტფრეიდი (2) | |

შენიშვნა: ჩ – ჩემპიონი; თ.მ – თასის მფლობელი; თ.ფ – თასის ფინალისტი

# კაფუ წითლდება და შავდება



„რომას“ ბრაზილიელი მცველი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი კაფუ „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, „მილანში“ გადასასვლელად მზად არის. 33 წლის ფეხბურთელს სამედიცინო შემოწმება გაუვლია და ექიმების აზრით ჯანმრთელად არის.

კაფუ „რომაში“ 1997 წლიდან თამაშობდა, მაგრამ ხელმოცარული ბოლო სეზონის შემდეგ ჩემპიონთა ლიგისა და იტალიის თასზე გამარჯვებული „მილანის“ შემადგენლობაში მოხვედრა განუზრახავს.

„ჩვენ რომ კაფუს შეძენა გვსურს, საიდუმლო არ არის — განუცხადა ხსენებულ გაზეთს „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ — მაგრამ იგი გავაფრთხილეთ, რომ სანამ ჩვენთან დაწვრილებით მოილაპარაკებს, იაპონიაში შექმნილი პრობლემები მოაგვაროს“.

იაპონიაში კი ასეთი ამბავია: კაფუ „იოკოჰამა F-მარინოსთან“ გახლდათ გარიგებული, რომ ივლისიდან მათთან ითამაშებდა, მაგრამ მოულოდნელად ამ 3,5 მილიონ დოლარიან საქმეს უგანა.

„ამწუთას კაფუს მხოლოდ დასვენება სურს, უნდა სულ მცირე 10 დღე ბრაზილიაში ოჯახთან ერთად გაატაროს, ხოლო გადაწყვეტილებას შემდეგ მიიღებს. „მილანი“ რასაკვირველია კონკრეტული ამბავია, თუმცა არის სხვა ვარიანტებიც. მაგალითად, იგი ესპანურ „ბარსელონასა“ და ინგლისურ „ჩელსისაც“ აინტერესებს. ერთი სიტყვით, ვნახოთ, ოღონდ თუ იტალიაში ამჯობინებს დარჩენას, აუცილებლად „მილანში“ ითამაშებს“ — განმარტა ბრაზილიელის აგენტმა ივანო ანტონელიმ.

**ბაკუნა ძედია**

# მადრიდული დარდი მისცემს თუ არა?

მადრიდის „რეალის“ დაცვა საიმედოობით ნამდვილად არ გამოირჩევა. „სამეფო კლუბმა“ ფიგუს, ზიდანისა და რონალდოს შესაძენად იმდენი ფული დახარჯა, რომ იგივე თანხით საუკეთესო მცველების ჯარს შეიძენდა. ამ გაზაფხულზე „რეალს“ „მალიორკამ“ ხუთი, „მანჩესტერმა“ მანჩესტერში ოთხი, ხოლო „იუვენტუსმა“ ტურინში სამი გოლი გაუტანეს.



ვალტერ სამუელი

მადრიდელთა სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ დაცვის გაძლიერება გადაწყვიტა და თვალი რომაელ ვალტერ სამუელს დაადგა. ვალდანო თანამემამულეს კარგა ხანია, აკვირდება და 24 წლის ფეხბურთელის გადაბირება სწადია.

სამუელს „რომასთან“ კონტრაქტი 2006 წლამდე აქვს გაფორმებული, თუმცა მისთვის ჯამაგირის შემცირება განუზრახავთ და არგენტინელსაც გუნდზე გული აუყრია.

საეჭვოა, მადრიდელებმა რომში ფეხბურთელის სანაცვლოდ ფული დიდი ჩანთებით ჩაიტანონ. ვალდანოს ვარიანტი ასეთია: ცოტაოდენი ფული და ზედ ფერნანდო მორიენტესი, რომელიც რონალდოს მისვლის შემდეგ ძირითად შემადგენლობას გაუუცხოვდა. „რომას“ მწვრთნელ ფაბიო კაპელოს ადრე არაერთხელ უთქვამს, რომ ფერნანდო მორიენტესს სიამოვნებით მიიღებდა გუნდში. ესპანელებსა და იტალიელებს შორის შესაძლო ტრანსფერზე მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს.

„რეალის“ თემა ფრანსისკო პავონის გულისნადებით გავაგრძელოთ. პრიმერადივიზიონის დარჩენილ ორ ტურში „სოსიედადი“ ვიგოში „სელტას“ შეხვდება, ბოლოს კი შინ მადრიდის „ატლეტიკოს“ მიიღებს. განა რა აღელვებს პავონს? ის, რომ ბასკებს „სელტასთან“ გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევს. მიზეზი? ხესუს ხილი ხილს ოდესღაც უთქვამს, ყველაფერს ვიღონებ, რომ მადრიდის „რეალი“ ჩ[illegible]ონი არ გახდესო. „ძნელი წარმო[illegible]ენია, რომ „ატლეტიკო“ სან სებას[illegible]ანში იჭაურებს გაუძალიანდეს. სწორედ ეს მადარდებს“ — დაიჩივლა ფრანსისკო პავონმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სტამბოლი დაუმით და უკოკაინოდ



„მე უკვე ვესაუბრე „ფენერბაჰჩეს“ წარმომადგენლებს, მაგრამ საქმეს დასრულებულად მაშინ ჩავთვლი, როცა კონტრაქტს ხელს მოვაწერ. ნუ მაწუხებთ, რაც ახლა ხდება, მხოლოდ ნერვებს მიშლის“ — ასე უპასუხა კრისტოფ დაუმმა გუშინწინ ჟურნალისტებს, დღეს კი სტამბოლში ჩავა და გაუთვალისწინებელი რამ თუ არ მოხდა, კონტრაქტს ხელს მოაწერს.

„ფენერბაჰჩე“ უმწვრთნელოდ ზამთარშივე დარჩა. გერმანელი ვერნერ ლორანტი თურქმა ოგიუზ ჩეტინმა შეცვალა და იმდენი მოახერხა, გუნდი უეფას თასზეც კი ვერ გაიყვანა.

კრისტოფ დაუმს ნერვებს მხოლოდ ჟურნალისტები არ უშლიდნენ. „ფენერბაჰჩეს“ პრეზიდენტი აზიზ ილდირიმი გერმანელ სპეციალისტს ადრევე შეუთანხმდა, გუნდის გასაძლიერებლად ფულს არ დავიშურებო. მოლაპარაკებების დროს პრეზიდენტმა დაიწუწუნა, ევროთასებზე გაუსვლელობით ათეულობით მილიონი ევროთი ვიზარალეთ და ფული შემომაკლდაო. თან „ფენერბაჰჩეს“ დირექტორთა სხდომაზე 14 წევრიდან 11-მა კრისტოფ დაუმზე უარი თქვა, კოკაინის მყნოსავი კაცის ჩამოყვანა კარგი საქმე არ უნდა იყოსო. ეს ამბავი, ცხადია, გერმანელმაც შეიტყო და სწორედ ამიტომაც გაბრაზდა, თუმც საბოლოოდ მორიგდნენ და „ბეშიქთაშის“ ყოფილი თავკაცი სტამბოლს ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდება. აზიზ ილდირიმის მმართველობის ხანაში კრისტოფ დაუმი „ფენერბაჰჩეს“ მეათე მწვრთნელი გახდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სომხის არმულს მზრამლი დაალაგმეს

საბერძნეთის ჩემპიონატის ბოლოს წინა ტურში „ოლიმპიაკოსმა“ „პანათინაიკოსს“ მოუგო და ჩემპიონატის დასრულებამდე ტურით ადრე პირველობა დაიბევა. „პანათინაიკოსის“ მარცხმა ათენელი ფანები ისე გაცოფა, რომ ფილოსოფოსობა არ დაუწყიათ, გუნდის მწვრთნელს, პარაგვაელ სერხიო მარქარიანს მიუხდნენ და გაასილაქეს. შეშინებულმა მარქარინმა საბერძნეთში დარჩენა აღარ ისურვა და სამშობლოში დაბრუნდა.

ფანების რისხვის მიზეზი მხოლოდ მარცხი არ იყო. „ოლიმპიაკოსი“ ზედიზედ მეშვიდედ (!) გახდა ჩემპიონი და პირეოსელთა ზეობა დედაქალაქელებზე გველის ნაკბენივით მოქმედებს.

ათენური კლუბის ბოსებმა პარაგვაელის შემცვლელს უკვე მიაგნეს. იგი გახლავთ 54 წლის ებრაელი, ჰაიფას „მაკაბის“ ყოფილი მწვრთნელი იცხაკ შუმი. მან ებრაული ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოახერხა გუნდის ჩემპიონთა ლიგაში გაყვანა იცხაკ შუმი ჰაიფას „მაკაბიში“ ორი წლის წინ მივიდა და შარშან ჩემპიონთა ლიგაც დააჭაშნიკებინა. გავიხსენოთ, რომ „მაკაბიმ“ ჯგუფურ ეტაპზე „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „ოლიმპიაკოსს“ მოუგო. საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა, საიდანაც უეფას თასზე გადაინაცვლა, ათენის აეკთან ორი მატჩის ჯამში 1:8 დამარცხდა და თასის გათამაშებას პირველივე ეტაპზე გამოეთიშა.

ჰაიფას „მაკაბი“ ამ სეზონში ისრაელის ჩემპიონატში მეორე ადგილს დასჯერდა. გუნდი თელ ავივის „მაკაბის“ მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩა და ჩემპიონობა სეხნიას დაუთმო.

იცხაკ შუმმა ათენის „პანათინაიკოსთან“ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ახალ გუნდთან ერთად კვლავაც ჩემპიონთა ლიგაში ვიხილავთ.

**ვაჟა ხუციშვილი**



იცხაკ შუმი

## პოლონეთი

30-ე ტური: ამიცა — გროცლინი 0:1; გარბარნია — გურნიკი 1:1; ლეხი — ვისლა 2:4; პოლონია — კატოვიცე 1:1; რუხი — პოგონი 3:0; ვიძევი — ოსტროვიეცი 2:1; პლოცკი — ოდრა 0:1; ზაგლებე — ლეგია 1:3

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 30 | 21 | 5 | 4 | 75:28 | 68 |
| გროცლინი | 30 | 18 | 8 | 4 | 56:26 | 62 |
| კატოვიცე | 30 | 19 | 4 | 7 | 39:21 | 61 |
| ლეგია | 30 | 17 | 9 | 4 | 59:29 | 60 |
| ოდრა | 30 | 17 | 5 | 8 | 55:42 | 56 |
| ამიცა | 30 | 11 | 10 | 9 | 43:34 | 43 |
| გურნიკი | 30 | 10 | 11 | 9 | 46:32 | 41 |
| პოლონია | 30 | 11 | 8 | 11 | 37:45 | 41 |
| ვიძევი | 30 | 10 | 7 | 13 | 29:39 | 37 |
| პლოცკი | 30 | 10 | 7 | 13 | 29:36 | 37 |
| ლეხი | 30 | 8 | 11 | 11 | 41:38 | 35 |
| ზაგლებე | 30 | 8 | 8 | 14 | 34:44 | 32 |
| გარბანია | 30 | 8 | 8 | 14 | 40:54 | 32 |
| რუხი | 30 | 7 | 11 | 12 | 29:39 | 32 |
| ოსტროვიეცი | 30 | 4 | 3 | 23 | 21:63 | 15 |
| პოგონი | 30 | 2 | 3 | 25 | 14:77 | 9 |

# მენავთობე გაბო

კვირა ისე არ ჩაივლის, რომ ევროპიდან ყატარში ერთი ფეხბურთელი მაინც არ გაემგზავროს. შტეფან ეფენბერგი, მარიო ბასლერი, ფრანკ ლებეფი, თომას ჰესლერი. ახლა მათ გაბრიელ ომარ ბატისტუტაც შეუერთდა. შეიხები ნავთობს მიწიდან, ფეხბურთელებს კი ევროპიდან ექაჩებიან.

სერია A-ს დასრულებამდე ტურით ადრე „რომადან“ „ინტერში“ განათხოვრებულ არგენტინელს ფლორენციიდან შეეხმიანნენ. დაბერებულხარ და ეგე ჩვენ დაგვიბრუნდეო. ბატისტუტამ კი გაიფიქრა „ფიორენტინაზე“ და გუნდის ერთგული ანჯელო და ლივიოც გაახსენდა, მაგრამ რა დროს ფლორენციაა, ყატარიდან ისეთი პირობები შესთავაზეს, დაჰკრა ფეხი და დოჰას „ალ არაბიში“ აღმოჩნდა.

ბატიგოლის ლონდონის „ჩელსიც“ ეპატიჟებოდა, თუმცა 34 წლის ფეხბურთელმა ინგლისურ მიწას არაბული არჩია. გაზეთ „აშ-შარკ-ალ-აუსატის“ ცნობით, ბატისტუტამ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და სანაცვლოდ 8 მილიონ დოლარს მიიღებს. კონტრაქტის თანახმად ვადაზე ადრე ფეხბ[illegible]რთელსა და გუნდს შორის ურთიერთობის გაწყვეტის შემთხვევაში არგენტ[illegible]ლი 5 მილიონ 500 ათას დოლარს ჩაიჯიბავს.

დოჰაში მას საკუთარი სახლი დაცვიანურთ უბოძეს. თან ათი ბილეთიც მიართვეს, რათა წელიწადში ათჯერ იტალიაში ჩავიდეს და ცოლ-შვილი მოინახულოს.

**ვაჟა ხუციშვილი**



გაბრიელ ბატისტუტამაც ყატარისკენ გაიხედა



რივალდომ და რონალდომ მსოფლიოს თასი მოიხვეჭეს, კონფედერაციათა თასი სხვებისთვის დაუთმიათ



კარლოს ალბერტო პარეირა

# ისე რა ბრაზილია

**ბრაზილიის** ნაკრები იქეთა ოთხშაბათს ნიგერიასთან ამხანაგურ მატჩს გამართავს, ნანიგერიევს კი საფრანგეთს გაემგზავრება კონფედერაციათა თასზე სათამაშოდ.

ოღონდ, ბრაზილიის ნაკრებს რომ ვამბობთ, ეს ის გუნდი არ გეგონოთ, შარშან ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონობა რომ მოიპოვა. ცალკე ტრავმებმა, ცალკე კლუბთა პროტესტმა და ცალკე სუპერვარსკვლავთა დასვენების საჭიროებამ გუნდს გვარიანად უცვალა სახე. საბოლოოდ კი კარლოს ალბერტო პარეირას ეროვნულ გუნდში 11 ახალწვეულის გამოძახება მოუხდა.

დებიუტანტები არიან: მეკარეები ფაბიო და ჟულიო სეზარი, მცველები მაურინიო, ფაბიო ლუსიანო, ფაბიო აურელიო და ედუ დრაჩენა, ნახევარმცველები დუდუ კარენსე და ადრიანო, თავდამსხმელები ლუის ფაბიანო, ჟილი, ილანი. აღვნიშნოთ, რომ აურელიოს გარდა ყველანი ბრაზილიაში თამაშობენ, ფაბიო აურელიო კი, მოგეხსენებათ, ვალენსიელია.

ისიც სათქმელია, რომ ეს ფეხბურთელები საფრანგეთში კი წავლენ, მაგრამ მათგან სამნი — ჟულიო სეზარი, მაურინიო და ედუ დრაჩენა ნიგერიასთან ვერ ითამაშებენ, რაკი „კრუზეიროსა" და „ფლამენგოს" ბრაზილიის თასის ფინალში აქვთ სათამაშო იმავე დროს.

სხვა მხრივ, ბრაზილიის ჩემპიონატი ახლაღა გახურდა და, აბა, რომელ კლუბს სურს ფეხბურთელების სანაკრებოდ გაშვება საეჭვო ხარისხის ტურნირზე. „სანტოსი" კი სულაც ლიბერტადორესის თასის ნახევარფინალშია გასული და მით უფრო არ ეპიტნავება თავისი ვარსკვლავების მოსაკლისება. პარეირამ ამადაც გადაწყვიტა, სანტოსელთაგან ნაკრებში არავინ მიეწვია, თუმცა მაინც დაიწუწუნა, გუნდის შეკრებისას იმხელა წინააღმდეგობები მხვდება, ნორმალური ამბავი არ არისო.

ნაკრებს მიღმა დარჩნენ ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელების: რონალდო, რივალდო, ჟილბერტო სილვა და რობერტო კარლოსი. ხოლო ვინც ნაკრებშია, მათ ქვემოთ ჩამოგითვლით.

## ბრაზილია

*მეკარეები: დიდა (მილანი, იტალია), ფაბიო (ვასკუ და გამა), ჟულიო სეზარი (ფლამენგო);*

*მცველები: მაურინიო (კრუზეირო), ბელეტი (ვილიარეალი, ესპანეთი), კლებერი (კორინთიანსი), ფაბიო აურელიო (ვალენსია, ესპანეთი), ედუ დრაჩენა (კრუზეირო), ჟუანი, ლუსიო (ორივე ლევერკუზენი, გერმანია), ფაბიო ლუსიანო (კორინთიანსი);*

*ნახევარმცველები: ედუარდო კოშტა (ბორდო, საფრანგეთი), ემერსონი (რომა, იტალია), კლებერსონი (ატლეტიკო პარანენსე), დუდუ კარენსე (ვიტორია), რიკარდინიო (სან პაულუ), ადრიანო (ატლეტიკო პარანენსე), ალექსი (კრუზეირო), რონალდინიო (პსჟ, საფრანგეთი);*

*თავდამსხმელები: ადრიანო (პარმა, იტალია), ლუის ფაბიანო (სან პაულუ), ჟილი (კორიანთიანსი), ილანი (ატლეტიკო პარანენსე)*

# აფრიკამ განცხადება დაწერა



სამხრეთ აფრიკის კამპანიის მეთაურმა დენი ჟორდანმა, 2006 წლის მუნდიალის მასპინძლობა ფრანც ბეკენბაუერის გერმანიას რომ დაუთმო, 2010 წლისთვის თავისი ქვეყანა ფავორიტად დაიგულა

შაბათს იწურება ვადა, როცა 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის მოსურნე ქვეყნებმა ფიფას სათანადოდ შედგენილი განაცხადები უნდა აახლონ.

მოგეხსენებათ, ფიფასეული როტაციის პრინციპის თანახმად, შვიდი წლის მერე მუნდიალს აფრიკის კონტინენტი უმასპინძლებს და მაშასადამე, განაცხადებიც მხოლოდ აფრიკელთაგან მიიღება.

გუშინ ექვსმა აფრიკულმა ქვეყანამ ოფიციალურად დაადასტურა მასპინძლობის სურვილი. ესენი არიან: ეგვიპტე, ლიბია, მაროკო, ნიგერია, სამხრეთ აფრიკა და ტუნისი. ცხადია, რომ ამ ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების უკან მათი მთავრობები დგანან.

შემდეგ ეტაპზე, სექტემბრის ბოლომდე, კანდიდატებმა სრულად უნდა წარადგინონ ის დოკუმენტები, რაც მათ უპირატესობას დაადასტურებს. ამის მერე, პირველი ოქტომბრიდან 2004 წლის 31 იანვრამდე ფიფა მათთან ინსპექტორებს მიავლენს, ყველაფერში საკუთარი თვალით დასარწმუნებლად. საბოლოო გადაწყვეტილებას კი ფიფას აღმასკომი გაისად მაისში, პარიზში მიიღებს.

სადღეისოდ ფავორიტად სამხრეთ აფრიკა ითვლება, ვინაც 2006 წლის მუნდიალის მასპინძლობის უფლება მეტად საეჭვო ვითარებაში დათმო გერმანიასთან.

**გიორგი დარჯანია**

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## ესპანეთი

*მეკარეები: იკერ კასილიასი (რეალი), სანტიაგო კანისარესი (ვალენსია);*

*მცველები: კარლეს პუიოლი (ბარსელონა), რაულ ბრავო, ივან ელგერა, მიჩელ სალგადო (ყველა რეალი), გუსტავო ხუანფრანი (სელტა), კარლოს მარჩენა (ვალენსია);*

*ნახევარმცველები: ხოაკინ სანჩესი (ბეტისი), ხუან კარლოს ვალერონი (დეპორტივო), ხაბი ალონსო (სოსიედადი), რუბენ ბარახა (ვალენსია), ვისენტე ფერნანდესი (ვალენსია), სერხიო სანჩესი (დეპორტივო), ხავიერ დე პედრო (სოსიედადი);*

*თავდამსხმელები: რაული (რეალი), ფერნანდო მორიენტესი (რეალი), გუტი (რეალი), ხოსება ეჩებერია (ბილბაო)*

## პორტუგალია

*მეკარეები: რიკარდუ პერეირა (ბოავიშტა), კიმ'სილვა (ბრაგა);*

*მცველები: პაულუ ფერეირა (პორტუ), ფერნანდუ კოუტუ (ლაციო, იტალია), ჟორჟე ანდრადე (დეპორტივო, ესპანეთი), ლუიშ ლოურეირუ (ჟილ ვისენტე), ბეტუ სევერუ (სპორტინგი), რუი ჟორჟე (სპორტინგი), ფერნანდუ მეირა (შტუტგარტი, გერმანია);*

*ნახევარმცველები: მანუელ რუი კოშტა (მილანი, იტალია), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი, იტალია), ლუიშ ფიგუ (რეალი, ესპანეთი), ტიაგუ მენდეში (ბენფიკა), დეკო სოუზა (პორტუ), მანიჩე რიბეირუ (პორტუ), უგო ვიანა (ნიუკასლი, ინგლისი), როჟერიუ მატიასი (გიმარაეში);*

*თავდამსხმელები: სიმაო საბროსა (ბენფიკა), პედრუ პაულეტა (ბორდო, საფრანგეთი), ელდერ პოსტიგა (პორტუ), რიკარდუ კვარესმა (სპორტინგი)*

# პენსიონერი კარიდან კარში

დევიდ სიმენმა ორმოცს მიუკაკუნა, მაგრამ ხელთათმანების მოშორებას არ ჩქარობს. კიკინიანმა მეკარემ ლონდონის „არსენალში" ცამეტი წელი გატარა, მას მეტსახელად „საიმედო ხელებიც" კი შეარქვეს. სიმენს კონტრაქტის ვადა ამ სეზონის ბოლოს დაუმთავრდა და კლუბმა მეკარეთა მწვრთნელობა შესთავაზა. თუმც სიმენმა იუარა, კარში დგომა მირჩევნიაო. მსურველებიც მალევე გამოჩნდნენ და აგერ, „მანჩესტერ სიტიმ" დევიდ სიმენი ერთი წლით წაიყვანა. ინგლისელი მანჩესტერში დანიელ პიტერ შმაიხელს შეცვლის, რომელმაც კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

„სიტის" პრეზიდენტი ჯონ უორდლი სიხარულით ცას ეწია: „უზომოდ ბედნიერი ვარ იმით, რომ დევიდმა ჩვენი გუნდი აირჩია. მის გამოცდილებას და კლასს თუ გავითვალისწინებთ, შმაიხელის უკეთეს შემცვლელს ვერც ვინატრებდი".

„არსენალიდან" ალბათ უკრაინელ მცველს ოლეგ ლუჟნისაც დაითხოვენ. იგი ლონდონში ოთხი წლის წინ გადავიდა და 108 მატჩი ითამაშა ისე, რომ გოლი არ გაუტანია. უკრაინელს დედაქალაქურივე „ჩარლტონი" ეპატიჟება მისი აგენტი შანდო ვარგა ფეხბურთელის წასვლას ჯერჯერობით უარყოფს: „არსენალის" ვიცე-პრეზიდენტ დევიდ დინს ვესაუბრე და მითხრა, რომ ოლეგ ლუჟნის სავარაუდოდ სხვა კლუბის ძებნა მოუწევს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ. ერთი წლის წინაც ზუსტად მსგავსი ვითარება იყო. მერე უეცრად არსენ ვენგერმა დამირეკა და ახალი კონტრაქტი შემოგვთავაზა".

„მეთოფეებმა" ლუულა ავსტრალიელებისკენ მიაბრუნეს. მათ ჰარი კიუელისა და ბრეტ ემერტონის შესაძენად ათი მილიონი გირვანქა გაუმზადებიათ. ლონდონელთა გათვლით, „ფეიენოორდის" ნახევარმცველ ემერტონს ოთხ, ლიდსელ ფორვარდ ჰარი კიუელს კი ექვს მილიონად მოაკვარახჭინებენ. ამასთან „ლიდსს" ფულის გარდა რეი პარლოურსაც სთავაზობენ. ეს საკითხი შვებულებიდან არსენ ვენგერის დაბრუნების შემდეგ გადაწყდება. გარდა ამისა, კლუბის სალაროს შესავსებად, შესაძლოა, სილვენ ვილტორდი და ფრენსის ჯეფერსი გაყიდონ.

არსენ ვენგერის სელექციონერებს პორტუგალიაში „ახალი ფიგუ" შეუთვალიერებიათ. ლისაბონის „სპორტინგის" ნახევარმცველ რიკარდუ კუარესმუს თამაში ლონდონელმა მზვერავებმა გასულ კვირას ნახეს და სავარაუდო ფასი — 6 მილიონი გირვანქაც შეიტყვეს.

**ვაჟა ხუციშვილი**



დევიდ სიმენი

# შეფამ მომავალი იცის

უეფას ჩინოვნიკებმა დიდი ბჭობის შედეგად გადაწყვიტეს, რომ ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის გათამაშების ფორმატი შეცვალონ.

უკვე ცნობილია: მომავალი სეზონიდან, ანუ შემოდგომიდან, ჩემპიონთა ლიგას მეორე ჯგუფური ეტაპი მოაკლდება და პირდაპირ მერვედფინალები გაიმართება.

მეორე ჯგუფური ეტაპის მოშორებამ კალენდარზეც იმოქმედა — კვირის დღეები გამოთავისუფლდა და უეფელებმა ისინი შეავსეს, ოღონდ სიახლე ძალაში მომავალი წლიდან შევა.

2004-ში უეფას თასის გათამაშების პირველი ეტაპის პირველი მატჩები 24 სექტემბერს, საპასუხო კი 15 ოქტომბერს გაიმართება. ჩემპიონთა ლიგისა და უეფას თასის შეხვედრები ძველებურად ერთმანეთს არ დაემთხვევა.

მეორე ეტაპის მატჩები ჩინოვნიკებმა ჩემპიონთა ლიგას ვერ ააცილეს. ანუ ერთ კვირაში მოაქციეს ისე, როგორც იყო. უეფას თასის მესამე ეტაპი თებერვალში გაიმართება.

ასევე გაცხადდა, რომ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციოდან გაძევებული გუნდები უეფას თასს სექტემბერში, პირველი ჯგუფური ეტაპიდან გავარდნილნი კი თებერვალში შეუერთდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# ...და ან ცაზე ვარსკვლავები

## როგერტო ბაჯო

## მქონეთ არწივის ფრთა



რობერტო ბაჯო სალამოს შვიდის თხუთმეტ წუთზე დაიბადა, 1964 წლის 18 თებერვალს. ეს ვიჩენცას პროვინციაში, ქალაქ კალდონიოს მარკონის ქუჩის მესამე ნომერში მოხდა — კალდონიოს მოსახლეობა ათასი კაცი თუ იქნება — რობერტოს მისი მხოლოდ ხუთი ძმა გააზარა, რადგან კიდევ ორი ჯერ დაბადებული არ იყო.

პატარა რობერტო საყვარელი შვილი (და ძმაც) გამოდგა. რაც არ უნდა დაეშავებინა, მისი ერთი ღიმილი საკმარისი იყო, რომ ყველაფერი ეპატიებინათ, ფეხბურთით არანორმალური გატაცებაც კი — როგორია, რვაშვილიანი ოჯახის ბინაში, ათმეტრიან დერეფანში პატარა ბიჭი ბურთს დასდევდეს და ყველაფერს ლეწავდეს.

მერე ოთხშაბათი... რვა ძმიდან მხოლოდ რობერტოს დართეს ასეთ ასაკში ოთხშაბათობით გვიან დაძინების ნება — აბა, მამა და ძმები ტელევიზორს უსხდნენ და ფეხბურთს უყურებდნენ... ისინი „ინტერს" ქომაგობდნენ.

სკოლაში რობიმ იმდენი ნამდვილად ისწავლა, „ბნელი" რომ არ დარჩენილიყო. იტალიური გრამატიკის მასწავლებელმა კი ერთ-ერთი კლასის დამასრულებელ გამოცდაზე გაარჩევინა წინადადება: „მე ვიცი, რომ შენ კარგი ფეხბურთელი ხარ".

ამ დროს რობი უკვე სათამაშოდ დასდევდა უფროს ძმას, ვალტერს, ოღონდ ვალტერის მეგობრები აგდებდნენ, პატარა ხარო. ის ბრაზდებოდა, გვერდით დგებოდა და მარტო იწყებდა დრიბლინგში ვარჯიშს. ერთხელაც, უფროსებმა გვერდით მიიხედეს და დაინახეს, რომ ვალტერის უმცროსი ძმა ბურთით სასწაულებს აკეთებდა — რობი „კალდონიოში" აიყვანეს.

რობერტო ბაჯო სიძნელეებს რომ არ უშინდება და ბავშვობიდანვე რომ იცის ცხოვრება რა ოხერიცაა, სინიორ ფლორინდო ბაჯოს დამსახურებაა, მან შვილის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა. სინიორ ფლორინდო ბურთაობაში დიდი უნიჭო ვინმე გახლდათ, მაგრამ ველოსპორტსა და ეგეთებში...

დღეს, 60 წელზე მეტისაა, კლდეზე კი (კალდონიო მთიანი ადგილია) რობიზე უკეთ და უფრო მაღლა ძვრება.

1985-90 წლებში ბაჯო „ფიორენტინაში" თამაშობდა, აქა-იქ სერიოზულ ტრავმებს ებრძოდა, მაგრამ დიდ საფეხბურთო კულტურას ეზიარებოდა. იქაური ქომაგები დაშავებულსაც არ ივიწყებდნენ და გვერდით ისე ედგნენ, რომ მოედანზე ბედნიერი ბრუნდებოდა. იქ, რობი კომიკოს რობერტო ბენინისთან მეგობრობდა. ისინი სალამოებს მხიარულად ატარებდნენ, მაგრამ ბოლოს ფლორენციამ იგი შერისხა — რობი „იუვენტუსში" გადავიდა, ხოლო ფლორენციაში „იუვენტუსი" ეზიზღებათ.

„სხვისი სურვილის გამო წავედი, გამყიდეს — იგონებს ბაჯო — თავს ისე ვგრძნობდი, როგორც ბიჭი, რომელსაც შეყვარებული უმიზეზოდ გაექცა. იმ ასაკში ვერაფერს გავხდი, რადგან საქმეს ძალიან გავლენიანი კაცი მართავდა".

ბაჯოს ცხოვრებაში უამრავი მწვრთნელი უნახავს, ყველაზე მეტად კი კარლო მაცონე უყვარს — ახლაც ერთად იყვნენ „ბრეშაში".

„მწვრთნელში ცოდნაზე მეტად ადამიანობას ვაფასებ — ამბობს ის — მაცონე გულწრფელია, ქედმაღლობა, შური და ფლიდობა მისთვის უცხოა. დღეს, პროფესიონალ ფეხბურთელს შთაგონებით თამაშს გიკრძალავენ, წესებს უნდა დაემორჩილო, თამაშში მთავარი კუნთები და ათლეტურობა გახდა, ხოლო შემთხვევით თუ შეგეშალა და თუნდაც ვარჯიშზე დრიბლინგი გაბედე, სკამზე დაგსვამენ. ერთადერთი მაცონეა განსხვავებული. დანარჩენები მას რომ ჰგავდნენ, ფეხბურთი სხვა რამ იქნებოდა".

რობერტო ბაჯოსთან ინტერვიუზე ყველა გამოცემა ოცნებობს, მათ შორის ჟურნალი „როკ ვარსკვლავიც".

„მუსიკა იმიტომ მიყვარს, რომ ტონს, თავისუფლებას, დინამიზმს განიჭებს — უთხრა რობიმ „როკ ვარსკვლავის" რეპორტიორს — მუსიკა ცოტათი ფეხბურთს ჰგავს. გუნდი ის ორკესტრია, რომელსაც სოლისტი ჰყავს და მას მელოდია მიჰყავს".

ფული?

„ფული ბედნიერებას ვერ მოგიტანს, მაგრამ წარმომიდგენია, რა დღეშია ხალხი, რომელსაც ის საერთოდ არ აქვს. ახლა ისეთი ღარიბი აღარ ვარ, ახალგაზრდობაში რომ ვიყავი, თუმცა ფული ჩემთვის მაინც მეორეხარისხოვანია. იმის თქმა მინდა, რომ ჩემი მოტივაცია ფული არასდროს ყოფილა".

ოჯახი?

„ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახია. ენერგიას მხოლოდ ჩემი ოჯახი და მასში გამეფებული სიყვარული მანიჭებს".

სხვათა შორის, რობის ქომაგები მის საინტერნეტო ვებ-გვერდზე ხშირად გზავნიან კითხვას, — რას ნიშნავს ბაჯოს სვირინგი? ბაჯომ განმარტა:



ბაჯოსთვის კარლო მაცონე ყველაზე დიდი მწვრთნელია

„ბუნებიდან გამომდინარე უფრო ტრადიციული სიმბოლოები მიყვარს, ვიდრე კანწითელა მეომარი ან რამე ეგეთი. ჩემი სვირინგი არწივის ბუმბულია, რაც იმ უხილავ ძალას გამოხატავს, თითოეულ ჩვენთაგანს სულში რომ აქვს და არა სხეულში. ყველას შეუძლია გაფრინდეს და ცას შეეხოს, ოღონდ ამისთვის ეს ძალა უნდა იპოვოს".

და კიდევ რობერტოს ხშირად სულის სიმტკიცეზე ეკითხებიან, რადგან ის სიძნელეებს სძლევს. პასუხი, მაჰაიანა ბუდიზმის წიაღშია — იგი ახერხებს იყოს თავისუფალი და არჩევანი პირობების მიხედვით კი არა, რაიმესადმი სიყვარულის მიხედვით გააკეთოს. ასეთ დროს „აკრძალულია" და „შეუძლებელია" არ არსებობს, ოღონდ არსებობს უდიდესი პასუხისმგებლობა, ხოლო თუ რაიმე შეემთხვევა, სხვას არავითარ შემთხვევაში არ დააბრალებს. ყოველი ცუდი კაცი, რომელსაც დღეს შევხვდით, ჩვენივე გამოძებნილია და თუ რამ ცუდი მოხდა, ესე იგი, ჩვენ თავად მოვედით აქამდე წინა ნაბიჯებით. ერთი სიტყვით, თუ სიძნელის გადალახვა გსურს, საკუთარ თავს უნდა დაეყრდნო და სხვათა ენერგია არ დახარჯო.

ანუ: წააგებ — შენ წააგე! მოიგებ — შენ მოიგე!

ოღონდ... აუცილებლად უნდა იხუმრო. იუმორის გარეშე მტერმა იცხოვროს. აი, მაგალითად: „იუვენტუსში" თამაშის დროს რობიმ ანჯელო პერუცი და დინო ბაჯო მეგობრის სასტუმროს რესტორანში მიიყვანა და... სპექტაკლსაცმელი გადააცვა. თავადაც ასე გამოეწყო. დადგნენ და ბოთლების ყუთებიდან ამოღება, გაწმენდა და შემოსული ოფიციანტის ლანგარზე დადება დაიწყეს. მოვიდა სასტუმროს მძღოლი, შეხედა და იმწუთას რესტორნის პატრონთან გავარდა, მოჩვენებები ხომ არ დამეწყოო.

„ხომ იცი რა დროა — უპასუხა ბაჯოსგან დარიგებულმა პატრონმა — ფეხბურთელებს ხელფასებს ველარ უხდიან და ბიჭებმაც რა ქნან, მეორე სამუშაოთი შოულობენ ცოტას".

მძღოლს სკამი მიაწოდეს, რომ არ წაქცეულიყო.

ასეთები რობის ბევრჯერ გაუკეთებია.

**პაატა ძედია**

P.S. ჰო, მართლა.
**BAGGIO IN NAZIONALE!**




ბაჯოს ამ აცილებულმა პენალტმა იტალიას 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონობა დააკარგვინა



ბაჯო თოფით: გასროლა მკვლელობის გარეშე

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ბელგია. II დივიზიონი. პლეი ოფი** | | | | | | |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 051 | დენდერლეუ-ეუპენი | 2,4 | 3,2 | 2,2 | 1,37 | 1,14 | 1,3 |
| 22.00 | 052 | ვარეგემი-ჰეუსდენი | 2,4 | 3,0 | 2,5 | 1,33 | 1,22 | 1,36 |
| | | **შვედეთი. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **5 ივნისი** | | | | | | |
| 21.30 | 066 | ენკიოპინგი-ჰალმსტადი | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| | | **ევრო 2004. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **7 ივნისი.** | | | | | | |
| 19.00 | 067 | შოტლანდია-გერმანია | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 19.00 | 068 | ირლანდია-ალბანეთი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 069 | ირლანდია-ალბანეთი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 21.00 | 070 | ისლანდია-ფარერის კუნძულები | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 071 | ისლანდია-ფარერის კუნძულები 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 21.00 | 072 | მოლდოვეთი-ავსტრია | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 21.00 | 073 | უკრაინა-სომხეთი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 074 | უკრაინა-სომხეთი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| 21.00 | 075 | ბულგარეთი-ბელგია | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 21.00 | 076 | ესტონეთი-ანდორა | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 077 | ესტონეთი-ანდორა 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,2 | | | |
| 21.00 | 078 | ფინეთი-სერბეთი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 22.00 | 079 | მალტა-კვიპროსი | 5,6 | 3,6 | 1,55 | 2,19 | 1,21 | 1,08 |
| 22.00 | 080 | რუმინეთი-ბოსნია | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 081 | რუმინეთი-ბოსნია 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 | | | |
| 22.15 | 082 | დანია-ნორვეგია | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 23.00 | 083 | ბელარუსი-პოლანდია | 9,0 | 4,6 | 1,3 | 3,04 | 1,13 | 1,01 |
| | 084 | ბელარუსი-პოლანდია 1:0 | 3,0 | 3,6 | 1,65 | | | |
| 23.00 | 085 | სან მარინო-შვედეთი | 25,0 | 9,0 | 1,05 | 6,61 | 1 | 1 |
| | 086 | სან მარინო-შვედეთი 2:0 | 2,0 | 4,6 | 1,8 | | | |
| 23.00 | 087 | მაკედონია-ლიხტენშტაინი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 088 | მაკედონია-ლიხტენშტაინი 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,2 | | | |
| 23.15 | 089 | სლოვაკეთი-თურქეთი | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 23.15 | 090 | შვეიცარია-რუსეთი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 23.15 | 091 | უნგრეთი-ლატვია | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 23.15 | 092 | ისრაელი-სლოვენია | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 00.45 | 093 | ესპანეთი-საბერძნეთი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 094 | ესპანეთი-საბერძნეთი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **ებ შესარჩევი** | | | | | | |
| | | **მატჩები (21 წლამდე)** | | | | | | |
| | | **6 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 095 | ისრაელი(21)-სლოვენია(21) | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 096 | უკრაინა(21)-სომხეთი(21) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 20.00 | 097 | რუმინეთი(21)-ბოსნის(21) | 1,65 | 3,4 | 4,0 | 1,11 | 1,16 | 1,83 |
| 20.00 | 098 | ბელარუსი(21)-პოლანდია(21) | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.00 | 099 | ბულგარეთი(21)-ბელგია(21) | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 20.30 | 100 | უნგრეთი(21)-ლატვია(21) | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 20.30 | 101 | სლოვაკეთი(21)-თურქეთი(21) | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 21.00 | 102 | მაკედონია(21)-პორტუგალია(21) | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| 21.00 | 103 | ფინეთი(21)-სერბეთი(21) | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 21.15 | 104 | მალტა(21)-კვიპროსი(21) | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| 21.30 | 105 | დანია(21)-ნორვეგია(21) | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.00 | 106 | შვეიცარია(21)-რუსეთი(21) | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 23.00 | 107 | ესპანეთი(21)-საბერძნეთი(21) | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 23.30 | 108 | სან მარინო(21)-შვედეთი(21) | 20,0 | 10,0 | 1,05 | 6,66 | 1 | 1 |
| 23.30 | 109 | ირლანდია(21)-ალბანეთი(21) | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 24.00 | 110 | შოტლანდიაი(21)-გერმანია(21) | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 111 | მოლდოვა(21)ავსტრია(21) | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **6 ივნისი** | | | | | | |
| 23.00 | 116 | პოლონეთი-ყაზახეთი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 117 | პოლონეთი-ყაზახეთი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 01.15 | 118 | პორტუგალია-პარაგვაი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 119 | პორტუგალია-პარაგვაი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 03.05. | 120 | ვენესუელა-ჰონდურასი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **8 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 121 | სამხრეთ კორეა-ურუგვაი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 15.15 | 122 | იაპონია-არგენტინა | 4,0 | 3,1 | 1,9 | 1,74 | 1,28 | 1,17 |
| 22.00 | 123 | აშშ-ახალი ზელანდია | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 124 | აშშ-ახალი-ზელანდია 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 22.00 | 125 | კოლუმბია-ეკვადორი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 2001 | შოტლანდია-გერმანია | 4,4 | 2.25 | 2,2 | 1,48 | 1,46 | 1,11 |
| 21.00 | 2002 | ბულგარეთი-ბელგია | 2,35 | 2,15 | 4,2 | 1,12 | 1,5 | 1,42 |
| 21.00 | 2003 | ფინეთი-სერბეთი | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1,54 | 1,21 |
| 22.15 | 2004 | დანია-ნორვეგია | 2,3 | 2.15 | 4,4 | 1,11 | 1,51 | 1,44 |
| 23.15 | 2005 | სლოვაკეთი-თურქეთი | 4,2 | 2,15 | 2,35 | 1,42 | 1,5 | 1,12 |
| 23.15 | 2006 | შვეიცარია-რუსეთი | 2,6 | 2,15 | 3,5 | 1,17 | 1,49 | 1,33 |
| 23.15 | 2007 | ისრაელი-სლოვენია | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1,25 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **7 ივნისი** | | |
| 19.00 | 2401 | შოტლანდია-გერმანია | 2,5 | 1,55 |
| 21.00 | 2402 | ბულგარეთი-ბელგია | 1,6 | 2,4 |
| 21.00 | 2403 | ფინეთი-სერბეთი | 2,0 | 1,8 |
| 22.15 | 2404 | დანია-ნორვეგია | 1,55 | 2,5 |
| 23.15 | 2405 | სლოვაკეთი-თურქეთი | 2,4 | 1,6 |
| 23.15 | 2406 | შვეიცარია-რუსეთი | 1,7 | 2,2 |
| 23.15 | 2407 | ისრაელი-სლოვენია | 1,9 | 1,9 |

| | | 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 ივნისი** | | | | | | | | | |
| 19.00 | 2101 | შოტლანდია-გერმანია | 6,0 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 21.00 | 2102 | ბულგარეთი-ბელგია | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 21.00 | 2103 | ფინეთი-სერბეთი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 22.15 | 2104 | დანია-ნორვეგია | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.15 | 2105 | სლოვაკეთი-თურქეთი | 5,3 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,7 |
| 23.15 | 2106 | შვეიცარია-რუსეთი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.15 | 2107 | ისრაელი-სლოვენია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[a] კორპუსი

**კროკოს ცქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა**

**შაბათი 12.00–21.30**

**კვირა 12.00–20.30**

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 7 ივნისი | | |
| 19.00 | 2301 | შოტლანდია-გერმანია | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2302 | ბულგარეთი-ბელგია | 1,7 | 1,9 |
| 21.00 | 2303 | ფინეთი-სერბეთი | 1,7 | 1,9 |
| 22.15 | 2304 | დანია-ნორვეგია | 1,7 | 1,9 |
| 23.15 | 2305 | სლოვაკეთი-თურქეთი | 1,7 | 1,9 |
| 23.15 | 2306 | შვეიცარია-რუსეთი | 1,65 | 1,95 |
| 23.15 | 2307 | ისრაელი-სლოვენია | 1,7 | 1,9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 7 ივნისი | | | |
| 19.00 | 2501 | შოტლანდია-გერმანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2502 | ბულგარეთი-ბელგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 21.00 | 2503 | ფინეთი-სერბეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 22.15 | 2504 | დანია-ნორვეგია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2505 | სლოვაკეთი-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2506 | შვეიცარია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.15 | 2507 | ისრაელი-სლოვენია | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 7 ივნისი | | |
| 19.00 | 2201 | შოტლანდია-გერმანია | 1,8 | 1,8 |
| 21.00 | 2202 | ბულგარეთი-ბელგია | 1,9 | 1,7 |
| 21.00 | 2203 | ფინეთი-სერბეთი | 1,9 | 1.7 |
| 22.15 | 2204 | დანია-ნორვეგია | 1,8 | 1.8 |
| 23.15 | 2205 | სლოვაკეთი-თურქეთი | 1,85 | 1,75 |
| 23.15 | 2206 | შვეიცარია-რუსეთი | 1,9 | 1,7 |
| 23.15 | 2207 | ისრაელი-სლოვენია | 1,85 | 1,75 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო


ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახლებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა № 13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1° კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „ამ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ქავთარაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ქავთარაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ქავთარაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | აღმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის № 18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# იტალიაში ხალხი გიჟდება

## სერია A-ს ფინალში გასულმა მარკოიშვილმა ბოდიროგას გენიალურობა შეიგრძნო

*მანუჩარ მარკოიშვილი წარმატებით მიიწევს სკუდეტოსკენ. სამშაბათ საღამოს იტალიის მყუდრო ქალაქ სიენაში ტრევიზოს „ბენეტონმა“ მასპინძლები 73:66 დაამარცხა და სერია A-ს ფინალში გავიდა. მატჩი ძალიან დაძაბული იყო და არც უცნაურობები აკლდა. მწვრთნელთა მოედანზე შევარდნა თუ ჩვეულებრივი ამბავი იყო, სიენელთა თავკაცის, ერგინ ატამანის ბენეტონელთა სათადარიგო სკამზე გადაჯდომამ, აქაოდა, მსაჯები ტრევიზოელებს უდგებიან და რა მნიშვნელობა აქვს, სად ვიჯდებიო, ზოგი გააცინა, ზოგიც განაცვიფრა. თავის მხრივ ბენეტონელთა მწვრთნელი ეტორე მესინა მსაჯებს იმას ედავებოდა, ახალგაზრდა მარკოიშვილს ნუ მიჩაგრავთო. მოკლედ, იშვიათი სანახაობა გამოდგა და ჩვენც მოვუსმინოთ მარკოიშვილს*




— რაც აქ ვარ, ასეთი დაძაბული შეხვედრა არ მინახავს. სიენაში ერთი ამბავი იყო. ახლაც მიკვირს, როგორ მოვახერხეთ გადარეული ხალხით სავსე დარბაზში ორი თამაშის მოგება. გუშინდელი მატჩი განსაკუთრებული იყო, მაყურებელი თითქმის მოედნის ხაზამდე მოვიდა, სარეკლამო დაფები ხომ სულ გადმოთელეს. უზრდელობდნენ, იფურთხებოდნენ და ათასგვარ საგანს ისროდნენ. ის კი იცოდნენ, მოედანზე რომ არ უნდა შემოსულიყვნენ, ასეთ შემთხვევაში მათ გუნდს წაგება ჩაეთვლებოდა.

**— დაძაბული მატჩი იყოო და, არცთუ მცირე სხვაობით კი მოგიგიათ...**

— სხვაობა ბოლო წამებზე გავზარდეთ, თორემ მთელი თამაშის მანძილზე ორ ქულაში თუ მერყეობდა სხვაობა. მწვრთნელები ძალიან აქტიურობდნენ, მოედანზე შესვლასაც არ ერიდებოდნენ. განსაკუთრებით სიენელთა თავკაცი, ერგინ ატამანი იყო აღელვებული, ეგონა, რომ მსაჯები ბენეტონელებს გვიდგებოდნენ.

**— ქართველ მწვრთნელთაგან განსხვავებით, ევროპელები საკმაოდ გაწონასწორებულნი არიან და თუ აღელდებიან, გარკვეულ წილად მიზეზიც აქვთ ხოლმე...**

— არა, რა მიზეზი, „სიენას“ მწვრთნელი მათი ლიდერის, ალფონსო ფორდის აშკარად მიღებულ ჯარიმებზე დარდობდა და როცა ამ მოთამაშეს ტექნიკური ჯარიმა აჰკიდეს, აღარ ესმოდა, რას აკეთებდა...

მეორე მეოთხედში და ქულით ვიგებდით, როცა ფორდმა მესამე ჯარიმა მიიღო. იგი გაცეცხლდა და მსაჯებს ტექნიკურიც დასტყუა. ამ დროს გამოვარდა მოედანზე სიენელთა მწვრთნელი და იმდენი ქნა, რომ მსაჯებმა გუნდის გაძღოლა აუკრძალეს. მაგრამ ეგ რაა, მოსახდენი მერე მოხდა. გაძევებამ ატამანი უფრო გაავიჟა და ალბათ პროტესტის ნიშნად, ჩვენს სათადარიგო სკამზე გადმოჯდა. თავიდან გავოცდი, ხომ არ შეიშალა ეს კაცი-მეთქი, მაგრამ მერე, გვერდზე რომ მომისკუპდა, გამეცინა, მაგრამ რას გავბედავდი, გულში ვხითხითებდი.

**— ატამანი დარიგებებსაც ხომ არ გაძლევდათ?**

— რამდენიმე წუთი იჯდა ბენეტონელებში, მერე კი სიენელები მოვიდნენ და საწყალი კაცი ჩვენს სათადარიგო სკამს განარიდეს.

**— და უმწვრთნელოდ დარჩენილ „სიენასაც“ იოლად სძლიეთ...**

— არა, ხომ გითხარი, ბოლო წამებამდე ბრძოლა იყო-მეთქი. თუ „სიენას“ მწვრთნელი დააკლდა, ჩვენ თავიდანვე გუნდის ლიდერ ტაიუს იდნის გარეშე ვთამაშობდით. თუმცა მის ნაცვლად კრესიმირ ლონჩარი გვყავდა და უიღნობა არც გვიგრძვნია. ლონჩარმა ბოლოს მეტად საჭირო ბურთები ჩაყარა.

**— შენც გითამაშია. კმაყოფილი დარჩი?**

— უკმაყოფილო არ ვარ მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, მაგრად ვითამაშე-მეთქი. მესინამ 12 წუთით დამასაქმა და ერთი ორქულიანის ჩაგდება მოვახერხე, ერთიც ამიცდა, უფრო სწორად, ვერ ჩავტენე. რომ ავხტი, ჩემს წინ „სიენასა“ და იტალიის ნაკრების ცენტრი ანდრეას კიაჩიგი აღიმართა. ვიფიქრე, რომ ვესროლო, დამაფარებს-მეთქი და ჩატენვა გადავწყვიტე. კიაჩიგმა ხელში ჩამცხო, მაგრამ კალათს მაინც მივწვდი. რომ მეგონა ჩავტენე, ბურთი დაბზრიალდა და უკან ამოვარდა. მესინას მოედანზე შემოჭრაც ამ ეპიზოდს მოჰყვა. ვერ დაინახეთ, როგორ ჩასცხო, რატომ არ აჯარიმებთ კიაჩიგს, რად მიჩაგრავთ ახალგაზრდა მოთამაშესო, ეკამათებოდა მსაჯებს.

ჩვენდა საბედნიეროდ, მესინა მალე დაწყნარდა და სიენელთა მწვრთნელის ბედი არ გაიზიარა.

**— ფინალში „სკიპერი“ ან „რომა“ შეგხვდებათ. ისე, რომელთან გირჩობთ თამაში?**

— დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ორივე ძლიერი გუნდია. ჩვენ მეტი დრო გვექნება ფინალისთვის მოსამზადებლად, ვიდრე ამ გუნდებს. მათ ნახევარფინალურ სერიაში ანგარიში 2:2 გახდა და გადამწყვეტი მატჩი უნდა ითამაშონ.

**— ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯიღა გიკლია, არადა, პლეი ოფი სუსტად დაიწყეთ, უსახელო „რეჯიო კალაბროამ“ კინაღამ გამოგაგდოთ...**

— ძალიან გადაღლილები ვიყავით ბარსელონური ოთხთა ფინალის შემდეგ. აქაური პლეი ოფები „ბარსელონასთან“ ევროლიგის ფინალური მატჩიდან სამ დღეში დაიწყო. ჩვენი მწვრთნელი ეტორე მესინა ბევრს ეცადა, მაგრამ ფინალის წაგებით გამოწვეული უარყოფითი ფსიქოლოგიური განწყობა ვერ გაგვიქარწყლა. თანაც ფიზიკურადაც გადაღლილები ვიყავით და პირველი ორი შეხვედრა წავაგეთ „კალაბრიასთან“, მერე კი, როცა კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდით, ყველაფერი გავიღეთ გამარჯვებისთვის და ჩვეულ კალაპოტში ჩავდექით.

**— შენ ცოტა ძვირად დაგიჯდა კალაბრიელთა „მორჯულება“ — ცხვირი გაიტეხე.**

— მართლაც მწარე წუთები გამოვიარე, ამდენი სისხლი ცხოვრებაში არ დამიკარგავს. ყველაფერი შემთხვევით მოხდა, კალაბრიელებს მეოთხე მატჩს ვეთამაშებოდით და მეორე მეოთხედში შეტევაზე მყოფს ერთ-ერთმა მეტოქემ უცაბედად ხელი მომარტყა ცხვირში. სასწრაფოდ ექიმთან გამაქანეს, გატეხილი არ მქონია, ოდნავ მომეღუნა და გამისწორეს. მომდევნო მატჩშივე დავუბრუნდი მოედანს, ოღონდ დამცავი ნიღბით. ახლა უკვე ნიღაბიც მოვიხსენი.

**— ყველა საპლეიოფო მატჩში მიიღე მონაწილეობა, არადა, რეგულარულ ჩემპიონატში უმეტესად ვერ ხვდებოდი ათკაცა განაცხადში, შენი პროგრესი თვალსაჩინოა...**

— ალბათ მოვუმატე კიდეც. ისე კი, ჩემს თამაშს ისიც უწყობს ხელს, რომ პლეი ოფისთვის დამატებული არაევროკავშირელი ჩარლზ ობანონი თავდამსხმელია, მე კი უკანახაზელი. როცა კი მესინა მენდობა, იმედს არასდროს ვუცრუებ, მოედანზე თუ თავს ვერ გამოვიჩენ, არც არაფერს ვაფუჭებ, ამიტომაც სულ უფრო ხშირად მიწევს თამაში.

**— ევროლიგის ვერმოგების შემდეგ ალბათ მხოლოდ იტალიის ჩემპიონობა დაგაკმაყოფილებთ...**

— ახლა ჩვენი ერთადერთი ამოცანა სერია A-ს მოგებაა და ყველაფერს გავიღებთ მის მისაღწევად.

**— ევროლიგის მოგების შანსი თუ გქონდათ?**

— ახლაც გული მტკივა, ევროლიგის მოგება ჩვენი ოცნება იყო. მართალია, მასპინძელ და ვარსკვლავებით სავსე „ბარსელონასთან“ დავმარცხდით, მაგრამ მაინც მაგრად განვიცადეთ, რადგან მოგება ნაღდად შეგვეძლო. ნახევარფინალიც და ფინალიც ისე ვერ ვითამაშეთ, როგორც ჯგუფურ ეტაპებზე. ოდნავ მეტი მობილიზება და აუცილებლად დავამარცხებდით „ბარსელონას“.

**— წაგება ცუდია, მაგრამ შენ მაინც არ დარჩებოდი უკმაყოფილო, ასეთი მაღალი დონის მატჩებში მოგიწია თამაშმა...**

— ჩემთვის უფრო მთავარი გამარჯვება იყო და არა ის, რომ მეთამაშა. მერჩივნა, ჩემპიონები გავმხდარიყავით და საერთოდ არ გავსულიყავი მოედანზე. ეს რაც შეეხება წაგებით გამოწვეულ უარყოფით ემოციებს, თორემ ბარსელონაში უდიდესი სიამოვნება განვიცადე, თავი ნაღდ კალათბურთელად ვიგრძენი, არასდროს დამავიწყდება ის ნამდვილი საკალათბურთო ზეიმი, ბარსელონაში რომ გაიმართა და არც ის დადებითი ემოციები, ამ ზეიმმა რომ მომანიჭა.

**— როცა მოედანზე გახვედი, ფსიქოლოგიურად ხომ არ გაგიჭირდა**

— სხვათა შორის, არა. ესპანეთში წასვლამდე ვნერვიულობდი, ნეტავ, რა როგორ იქნება-მეთქი, მაგრამ მოედანზე გასვლისთანავე ეს შიში სადღაც გაქრა, მხოლოდ თამაშზე ვიყავი კონცენტრირებული და არავის ვაქცევდი ყურადღებას.

**— არც დეიან ბოდიროგას? ის ხომ შენს პოზიციაზე თამაშობს...**

— ბოდიროგას როგორც ბოდიროგას არ ვაქცევდი ყურადღებას, თორემ, როგორც კალათბურთელს, ჩემი მეურვე იყო და, აბა, რას ვიზამდი. მანამდე ბოდიროგას თამაში მხოლოდ ტელევიზორით და სათადარიგო სკამიდან მენახა, იქ კი პირადად შევხვდი მოედანზე და დავრწმუნდი მის გენიალურობაში. სულ წინ ვედექი, ვცდილობდი, არ ჩამორჩენილიყავი, ის კი ისე იქცეოდა, თითქოს მეურვე არ ჰყავდა, ერთხელაც არ შემოუხედავს სახეში. ბოდიროგამ სულ ორჯერ ჩააგდო ბურთი ჩემი ხელებიდან და ეს ისე დამაჯერებლად გააკეთა, თითქოს გასართობადაც არ ეყო.

**— საფინალო სირენა იყო და, ბოდიროგასთვის პირველს შენ მიგილოცავს გამარჯვება — აქ მოსული კადრებიდან ასე გამოჩნდა...**

— კი, ბოლო შეტევა იყო და ბურთს ბოდიროგა ფლობდა. ბარსელონელების გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა და აზრი აღარ ჰქონდა ბურთში შეცილებას. მატჩი დასრულდა და ჩემს წინ მდგარ ბოდიროგას ხელი მხარზე მივარტყი, გილოცავ-მეთქი. მას ჩემთვის უკვე აღარ ეცალა, ჩემპიონობას ზეიმობდა.

**ირაკლი პერტაია**



მანუჩარ მარკოიშვილი დეიან ბოდიროგას არ შეეპუა, მაგრამ...

# სამყარო ცხრა კაცია

**ეს დღეებია,** მთელი ამერიკა ნბა-ს ფინალების სანახავად ემზადება, ჰოდა, ხალხს გამორჩა ერთი მცირე ამბავი — ამერიკული კალათბურთის მამებმა ის სამი მოთამაშე დაასახელეს, რომლებიც ქვეყნის ნაკრებს შეავსებენ და მომავალი წლის ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ციკლს გაივლიან. ეს სამი მოთამაშეა კლიპერსელი ელტონ ბრენდი, ნიუჯერსელი რიჩარდ ჯეფერსონი და ჯერაც დრაფტგაუვლელი, ამჟამად უგუნდო ნიკ კოლისონი, რომელმაც სულ ახლახან დაამთავრა კანზასის უნივერსიტეტი და ეს გუნდი სტუდენტური ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა.

ნაკრების ახალწვეულები ეროვნული გუნდის დროებითი წევრები არიან. ისინი მონაწილეობას მიიღებენ შესარჩევ მატჩებში, ხოლო დარჩებიან თუ არა ათენის ოლიმპიადისთვის, ამას ნაკრების ხელმძღვანელები გადაწყვეტენ. უფროსობა ამ მოთამაშეებს დროებით სტატუსს იმ მიზეზით აძლევს, რომ თუკი, ვთქვათ, შაკილ ონილმა ან კევინ გარნეტმა გამოთქვეს ნაკრებში თამაშის სურვილი, იმ სამეულიდან რომელიმეს უმტკივნეულოდ ჩაენაცვლებიან.

ასეთი არამდგრადი ყოფის მიუხედავად, ახალაყვანილი ტრიო მაინც კმაყოფილია. ელტონ ბრენდი ამბობს, მადლობელი ვარ, რეაბილიტაციის საშუალება რომ მომეცა შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მეექვსე ადგილის დამკავებელი აშშ-ს ნაკრების ყოფილ წევრსო.

12-კაცა ნაკრების დანარჩენი 9 და მყარი წევრები კი არიან — რეი ალენი (სიეტლი), ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი), ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), მაიკ ბიბი (საკრამენტო), ალენ აივერსონი (ფილადელფია), კარლ მელოუნი (იუტა), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), ჯერმენ ონილი (ინდიანა).

ამ ბიჭებს გაწვრთნის „ფილადელფიას“ ყოფილი თავკაცი ლარი ბრაუნი, რომელმაც ეს ორი დღეა, „დეტროიტი“ ჩაიბარა.



ნიკ კოლისონი ნბა-ში და ამერიკის ნაკრებში სათამაშოდ ემზადება

# NBA PLAY OFF ფინალი

## სან ანტონიო VS ნიუ ჯერსი

*სამხრეთ ტეხასში, მექსიკასთან ისტორიული საზღვრისპირა ალაგებში, მყუდრო, თითქმის პროვინციულ ქალაქის, სან ანტონიოს ქუჩებში ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა. დღეს გამთენიისას იქ პლეი ოფის ფინალი დაიწყო. საჩემპიონო სერიის მონაწილეთ წესით სხვა დარდი არ უნდა ჰქონდეთ, მთლიანად ბრძოლის მოლოდინში და სათამაშო სქემების გარჩევა-დაგეგმაში უნდა იქვნენ ჩაფლულნი, მაგრამ ერთმა უსიამოვნო გარემოებამ ფინალისტები, მეტადრე კი ნიუჯერსელები მაინც გამოიტაცა საკალათბურთო ნისლიდან. გუშინწინ ნიუ იორკიდან სან ანტონიოში ჩაფრენილი „ნიუ ჯერსი ნეთსი" ლამის ავიაკატასტროფაში მოყვა*



ჯეისონ კიდი, კენიონ მარტინი და სხვა ნიუჯერსელები ბეწვზე არიან გადარჩენილები

# ნიუ ჯერსი ფინალამდე შეშინდა



ნიუჯერსელი რიჩარდ ჯეფერსონი ავიაინციდენტმა მაგრად დააფეთა

## შეშინებული გულები

„ნიუ ჯერსიმ" უმოკლესი გზით იარა ფინალამდე, ბოლო ორი მეტოქე — „ბოსტონი" და „დეტროიტი" 4:0 გაანადგურა და სანამ მომავალი მეტოქე „სან ანტონიო" თავის კონფერენციაში „ჯახირობდა", „ნეთსმა" ფინალამდე ბარე ათი დღე გამოითავისუფლა. „ბადეებმა" ეს განიერი „ფანჯარა" განცხრომით გამოიყენეს, ბურთაობის მონატრებამდე დაისვენეს და სამი ივნისისთვის, პირველ ფინალურ მატჩამდე ერთი დღით ადრე, სან ანტონიოსკენ გასწიეს.

მგზავრობას არა უშავდა, თუ არ ჩავთვლით ფრენის დასასრულს, რომელმაც მაგრად დააფრთხო მთელი გუნდი. სან ანტონიოს სიახლოვეს თვითმფრინავმა რყევა იწყო და პილოტმა ვერ მოახერხა ლაინერის პირველ ცდაზე მიწაზე დასმა. თვითმფრინავმა ჰაერში წრე მოხაზა და მეორედ სცადა დაჯდომა, ამჯერად მოახერხა.

თვითმფრინავიდან გადმოსულ კალათბურთელებს მიწისთვის არ უკოცნიათ, მაგრამ ისეთი დამფრთხლები იყვნენ, იმ წუთში კრინტი ვერ დაძრეს. მერე კი ალაპარაკდნენ და ამ გოლიათ ბიჭებს არც უცდიათ იმის დამალვა, რომ ამ ამბავმა დიდრონი კუნთების ქვეშ მაგრად აუფართხალა გულები.

„ჯანდაბას ყველაფერი, რა თქმა უნდა, მაგრად შემეშინდა" — შეიკურთხა „ნეთსის" სათადარიგომ ტამარ სლეიმ. ხოლო ვეება ჯეისონ კოლინზმა აღიარა, ეს იყო უსაშინლესი ფრენა ჩემს ცხოვრებაშიო.

## გელოდები, ძმაო!

ყოფილი ნიუჯერსელი, აწ კი სანანტონიოელი სტივენ ჯეკსონი კმაყოფილია დღევანდელი დღით. ამ ამბავს რომ თავი დაანებოს, მას, როგორც მოთამაშეს, „სან ანტონიოში" ურჩევნია. „სფურზი" ფავორიტია და „ნიუ ჯერსიზე" მეტი შანსი აქვს ჩემპიონობის. ჯეკსონმა კი თავისი ნბა-ური კარიერა ამ სამი წლის წინ სწორედ „ნიუ ჯერსიში" დაიწყო და იქნებ ახლაც იქ ყოფილიყო, ბოსებისთვის გუნდიდან გაგდების საბაბი რომ არ მიეცა.

მას შემდეგ, რაც მსოფლიო მოიარა და ითამაშა აი ასეთ ქვეყნებში — ავსტრალიაში, ვენესუელაში და, თავად განსაჯეთ, დომინიკელთა რესპუბლიკაშიც კი. შემდეგ ჯეკსონი მცირე ხანი ამერიკულ ქვედა ლიგაში, სიბიეი-ში ჯახირობდა და ცხოვრების გზამ 2000 წელს „ნიუ ჯერსიშიც" მიიყვანა. გუნდმა ის ერთ წელიწადში გააგდო ზარმაცობისა და საქმისადმი არასერიოზული მიდგომისთვის, თორემ ჯეკსონი რომ ნიჭიერი კალათბურთელია, აგერ, ჩანს — „სფურზის" სასტარტო ხუთეულში თამაშობს.

ჯეკსონი მადლიერია „ნიუ ჯერსის" ბოსების. მას შემდეგ, რაც გამაგდეს, აზრზე მოვედი და თავს მივხედო, მაგრამ ის ამავდროულად ვერც იტანს მისთვის კარის მიმჯახუნებელ კლუბს და ერთი სული აქვს, როდის გამოხატავს ამ სიძულვილს მოედანზე.

ისე, ჯეკსონმა „ნიუ ჯერსიში" მეგობრებიც დატოვა, მაგალითად, დღეს „ნეთსის" ერთ-ერთი ლიდერი კენიონ მარტინი, რომელთან ერთადაც მივიდა ამ კლუბში. „კვირაში ორჯერ მაინც ველაპარაკებით ერთმანეთს. დასავლეთის ფინალში „დალასს" რომ მოვუგეთ, ეგრევე დამირეკა — გელოდები, ძმაო."

## ბოლო შანსი

„სან ანტონიო სფურზის" ვეტერან ცენტრ კევინ ვილისს ბოლო შანსი აქვს, თითზე საჩემპიონო ბეჭედი წამოიცვას. 1987 წელს „ატლანტა ჰოქსთან" ერთად თბილისში ნასტუმრები ვილისი ნბა-ში 1984 წლიდანაა, 18 სეზონი მოულევია და შვიდ გუნდში უთამაშია, მაგრამ ვინაიდან მისი გუნდები საჩემპიონო ბილიკებიდან სადღაც შუაში უხვევდნენ, 40 წლისა ისე მოიყარა, პლეი ოფის ფინალში არ უთამაშია.

ახლა ვილისს კარგი შანსი აქვს, კარიერა საჩემპიონო შამპანურში გაწუწულმა დაასრულოს. თუმც 40 წლისაა, ამ ასაკის ბეხრეკის კვალობაზე შესაშურ ჯანზეა და იმედი აქვს, რომ „სფურზის" მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი ფინალურ თამაშებში სკამზე ჯდომით უკანალზე მაზოლებს არ გაუჩენს.

„სირბილი მიყვარს ძალიან და რაკი ბევრს დავრბივარ, მუდამ კარგ ფორმაში ვარ. თანაგუნდელებს რომ ერთმანეთთან გვაჯიბრებენ, სულ ვცდილობ, პატარა სწრაფ ბიჭებს, ტონი პარკერს ან სპიდი კლაქსტონს შევეჯიბრო. თუ დამიჯერებთ, ხანდახან ვუსწრებ ხოლმე" — ამბობს ვილისი.

თამაშით ალბათ ითამაშებს. თან იმედი აქვს, რომ მისი გუნდი 48 წუთის ამოწურვამდე მოუგებს „ნიუ ჯერსის". ამდენად მას მეტი ხნით მოუწევს მოედანზე ყოფნა. ვილისის პროგნოზით „ნიუ ჯერსი" უშანსოდაა და „სფურზი" ფინალს 4:0 მოიგებს.

მოხუცი ოპტიმისტი თანაგუნდელისგან განსხვავებით, ბევრს ნერვიულობს „სფურზის" მეორე სათადარიგო მეფარე მალიქ როუზი. არადა, ის 1999 წელს „სან ანტონიოსთან" ერთად უკვე გახდა ჩემპიონი. „ბოლოს ასე მართვის მოწყობის ჩასაბარებელი ტესტების შემდეგ არ მინერვიულია."

**კოტე ყორშია**



სტივენ ჯეკსონი „სან ანტონიოში" ბედნიერია



# განწირული დედოფლები

**სტამბოლში,** ევროპის ვაჟთა პირველობის მეხუთე ტურში ზურაბ აზმაიფარაშვილის გამარჯვების ამბავი გუშინდელ „სარბიელში" გამცნეთ, დღეს კი დანარჩენი ქართველების სატურნირო მდგომარეობას გაგაცნობთ.

აზმაიფარაშვილის დარად, იმარჯვა მიხეილ მჭედლიშვილმა, რომელმაც მასპინძელი ჰაკან ერდოგანი იოლად დაამარცხა. ამ გამარჯვებით მჭედლიშვილმა 3 ქულა მოაგროვა და შედარებით უკეთესი პოზიცია დაიკავა.

წარმატებული ტურების შემდეგ დამარცხდა მერაბ გაგუნაშვილი. მან რუს დიდოსტატ ალექსეი ალექსანდროვთან წააგო. ასევე დათმეს თავიანთი პარტიები ზვიად იზორიამ, ზურაბ სტურუამ და ბაადურ ჯობავამ, გიორგი ყაჭეიშვილი კი ყაიმით დაკმაყოფილდა.

მეხუთე ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს ოთხ-ოთხი ქულით ერთბაშად თერთმეტი მოჭადრაკე ლიდერობს, რომელთაგან ერთი ჩვენებური ზურაბ აზმაიფარაშვილია — შეგახსენებთ, რომ თამაშები შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობს და, შესაბამისად, ქართველი დიდოსტატი უშუალო კონკურენტს, გერმანელ დიდოსტატ რუსტემ დაუტოვს დაუპირისპირდება.

პარტიები დღეს თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

ჯერჯერობით წარუმატებელი არ ეთქმის ჩვენი ქალების თამაშს. ასე თუ ისე შედეგიანი მეორე ტურის შემდეგ ცხრილის თავში მოქცეული 17 მონაწილეში ოთხი ქართველია: ქეთევან არახამია-გრანტი, ნინო ხურციძე, სოფიო გვეტაძე და მაია ლომინეიშვილი.

მესამე ტურში ერთმანეთს ნინო ხურციძე და სოფიო გვეტაძე დაუპირისპირდნენ.

პარტია ხურციძემ დედოფლის გამბიტით დაიწყო, გვეტაძემ კი ლებიუტშივე, მეოთხე სვლაზე სწრაფი როქი გააკეთა და მეტოქეს შეუტია. ხურციძემ იერიში მოიგერია და თვითონაც გააქტიურა ფიგურები.

ნინო საკმაოდ აქტიურად თამაშობდა და ფიგურების შეწირვას არ ერიდებოდა. მეტოქეს არც სოფიო ჩამორჩა. 21-ე სვლაზე ნინომ მეტოქეს ლაზიერი შესწირა, თუმც ცხრა სვლაში აინაზღაურა დანაკარგი და შავებს დედოფალი აართვა. ამის შემდეგ პარტია ხურციძის უპირატესობით წარიმართა და 38-ე სვლაზე სოფიომ დამარცხება აღიარა. ამ გამარჯვებით ხურციძემ სამი შესაძლებლიდან სამი ქულა მოაგროვა და პირველობა შეინარჩუნა.

ლიდერთაგან ნინოსთან ერთად კიდევ ოთხმა მოჭადრაკემ ადმირა სკრიპჩენკომ, ალისა გალიამოვამ, მარია სებაგმა და ზაოგინ პენგმა იმარჯვა. შესაბამისად, ახლა ისინი ხურციძესთან ერთად ლიდერობენ ცხრილს.

**ლაშა გეგეჭკორი**



ნინო ხურციძე ელენა ზაიაცთან თამაშისას



# მონტგომერიმ მერიონ ჯონსი სკამზე დასვა

## სანამ ბავშვი დაიბადება, ოჯახში ფულს მარტო ქმარი შეიტანს



მერიონ ჯონსი



ტიმ მონტგომერი

**მსოფლიოს** უსწრაფესი წყვილი, ამერიკელი სპრინტერები ტიმ მონტგომერი და მისი პირმშვენიერი მეუღლე მერიონ ჯონსი ამ დღეებში იტალიას, კერძოდ, მილანს სტუმრობდნენ.

მილანში მსოფლიო გრან პრის ერთ-ერთი ეტაპი გაიმართა და ასეთი მასშტაბური და სარფიანი შეჯიბრი, ცხადია, უვარსკვლავებოდ ვერ ჩაივლიდა.

ვერ დავიჩემებთ, მილანის სარბენი ბილიკები მაინცდამაინც ბევრმა კაშკაშა ვარსკვლავმა დაამშვენა, მაგრამ ის ფაქტი, რომ მონტგომერიმ თავისი ძვირფასი დროის ათიოდ წამი მაინც შეალია მილანში სირბილს, უკვე ამ ტურნირის პრესტიჟულობაზე მიუთითებს.

ქომაგისდა სამწუხაროდ, ვერ ირბინა ტიმის მეუღლე მერიონმა, რომელსაც ფრიად საპატიო მიზეზი ჰქონდა, იგი ფეხმძიმეა და პირმშოს სექტემბერში ელოდება. სამაგიეროდ, მომავალი დედა ერთი წუთითაც არ მოშორებია მომავალ მამას და ტრიბუნებიდან გულშემატკივრობდა. იქ კი მერიონს ტიმის მენეჯერი ჩარლი უელსი და ახალი მწვრთნელი ლეველინ სტარკსი ევლებოდნენ თავს — ვინ იცის, ორსულ ქალს რა წამს რა დასჭირდება.

ერთგულებისთვის ტიმმა მეუღლეს მადლობა გამარჯვებით გადაუხადა. თავისი საყვარელი 100-მეტრიანი დისტანცია მონტგომერიმ 10,11 წამში გაირბინა და ოქროს მედალთან ერთად საპრიზო ფულიც ჩაიჯიბა. მიუხედავად ამისა, ტიმი მაინც უკმაყოფილო იყო, რადგან მილანში თავისივე მსოფლიოს რეკორდის გაუმჯობესებას ლამობდა. რეკორდი კი 9,78 წამია, რომელიც მონტგომერიმ შარშან პარიზში, მსოფლიოს გრან პრის ერთ-ერთ ეტაპზე დაამყარა.

**ბაჩო სვანიძე**

# წარმატების საიდუმლო: ცოლის სიყვარული

## ნესტორ ხერგიანი: ყველაზე ევროპელის იაპონური შეგრძნება




*ნესტორ ხერგიანი ყველაზე სტაბილურ ძიუდოისტად ითვლება საქართველოს ნაკრებში. წლეულს მან თბილისისა და მოსკოვის საერთაშორისო ტურნირები მოიგო, მაისში კი დიუსელდორფში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე გაიმარჯვა. ხერგიანმა უკვე შეაგროვა ოლიმპიადისთვის საჭირო სალიცენზიო ქულები და მსოფლიოს ჩემპიონატამდე მწვრთნელებმა მესტიაში დასვენების უფლება მისცეს. მას გამგზავრებამდე დავუკავშირდით...*

**— ნესტორ, დიდი ხნით მიემგზავრები?**

— დიდი ხნით არა, კარგად კი უნდა დავისვენო. სხეულს ცოტა მოდუნების უფლებას მივცემ. ალბათ წონაშიც მოვიმატებ. მესტიაში კომფორტი ნაკლებია, მაგრამ მთებია, ჯანსაღი ჰაერი. ნათესავებიც მოუთმენლად მელიან.

**— ჭიდაობა მესტიაში დაიწყე?**

— რაც თავი მახსოვს, სულ ვჭიდაობ. მამაჩემის ბაბუა, სვანეთში ბეჭდაუდებელ ფალავნად ითვლებოდა. ორმეტრიანი კაცი იყო. უამრავი ცხენი და ცხვარი მოუგია ჭიდაობით. მამაჩემიც ჭიდაობდა ახალგაზრდობაში და პატარაობიდანვე მაჩვევდა ნახერხზე ჩოხით გამოსვლას. მეშვიდე კლასიდან კი სამბოში დავიწყე ვარჯიში რობინზონ ჯაფარიძესთან.

1992 წელს გადმოვედი თბილისში. ფიზკულტურის ინსტიტუტში ვსწავლობდი და ოლეგ იაძესთან ვვარჯიშობდი. იმ წელსვე მოვიგე ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი კიევში, 94-ში იუგოსლავიაში მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი ახალგაზრდებში.

**— 95-ში სამბოდან ძიუდოში გადახვედი...**

— ასე მოხდა. იუგოსლავიაში სამბისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემი ხარჯით წავედი, 800 დოლარი დამიჯდა. ჩემპიონი გავხდი. საქართველოში დაბრუნებულს კი არც საპრიზო მომცეს, არც ხელფასი. ძიუდოში ვარჯიში ანზორ მარგველანთან დავიწყე. ახლაც ის და შოთა ხაბარელი არიან ჩემი მწვრთნელები.

1997 წლიდან არც ერთი ევროპის ჩემპიონატი უმედლოდ არ დამიმთავრებია. 98-ში ევროპის ჩემპიონი გავხდი. ორი თვით ადრე დავოჯახდი. ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი ჩემი ცოლია. ჩემპიონატებამდე მოსამზადებელი ეტაპებია, ხანდახან 3-4 თვეც გრძელდება და შინ უმედლოდ ვერ ვბრუნდები. გვანცა არ მიმიღებს.

**— თურმე რა ყოფილა შენი სტაბილურობის საიდუმლო...**

— ეგრეა. საერთოდ, გვანცა ყველა ჩემს ინტერვიუს კითხულობს და წუხს, რომ არ ვახსენებ. მინდა, ვთქვა, ძალიან მიდგას გვერდში. ორი შვილი გვყავს, 5 წლის ირაკლი და 3 წლის ანა. ირაკლი უკვე ჭიდაობს.

**— ნესტორ, ევროპის ჩემპიონატებზე ყოველთვის წარმატებით ჭიდაობ. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით მსოფლიოზე. სიდნეის ოლიმპიადაზეც ვერ გახდი პრიზიორი. შენი „იაპონური“ წონის ბრალი ხომ არ არი?**

— ჩემს წონაში იაპონელებს ყოველთვის ძლიერი ძიუდოისტები ჰყავთ. ისე, იაპონიაში ვყოფილვარ და ჩემზე მაღალი იშვიათად შემხვედრია. საკმაოდ კარგი შეგრძნებაა. აქ ყველა ჩემზე მაღალია და მძიმე[illegible]. და, იაპონელების გარდა, კარგი ძიუდოისტები ჰყავთ კორეელებს, კუბელებს, ყაზახებს. სიდნეიში კორეელთან წავაგე. შორმა გზამ, დროში სხვაობამ ჩემზე ძალიან იმოქმედა. დღე და ღამე მქონდა არეული.

**— ათენი საქართველოსთან ახლოსაა. დროში სხვაობაც მხოლოდ სამი საათია. ვიქონიოთ ოლიმპიური მედლის იმედი?**

— ყველანაირად შევეცდები. გაისად 29 წლის ვხდები. 28-29 წელი ყველაზე კარგ ასაკად ითვლება სპორტში. ფიზიკურ ძალასთან ერთად გამოცდილებაც გროვდება. რაიმე განსაკუთრებული თუ არ მოხდა, ალბათ რაღაცას შევძლებ. წინასწარ ძნელია ლაპარაკი, ძიუდო მაინც ძიუდოა. ისე, წლეულს მხოლოდ ერთ ტურნირში გავედი მეორეზე. კარგ ფორმაში ვარ.

**— თქვი, კარგად უნდა დავისვენო. ცოტას წონაშიც მოვიმატებო. ეს ხელს ხომ არ შეგიშლის?**

— მესტიაში ქეიფიც იქნება, ოღონდ არა ყოველდღე. ჩემს ძმას, ჩემი ჩემპიონობა რომ გაიგო, თოფი უსვრია და სახურავი გასარემონტებელი გამხდარა. ასე რომ, შრომაც მომიწევს.

**შოთა კოპალეიშვილი**



# მოკვდი, დიაგორ

ოლიმპიაში უამრავი ხალხი შეკრებილიყო. აქ მთელი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მოეყარათ თავი. ერთნი ოლიმპიური თამაშების სპორტულ სარბიელზე გამოსასვლელად ჩამოსულიყვნენ, მეორენი ხელოვანთა კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად, მესამენი უკვდავთა და მოკვდავთა უზენაესი ღმერთის, ზევსისადმი თუ სხვა ღვთაებათათვის მსხვერპლის შესაწირად, მეოთხენი კი თავიანთი კერპების საქომაგოდ. იყო ერთი მისვლა-მოსვლა, სიცილი, მხიარულობა და კამათი, თუ ამჯერად ვინ დაიდგამდა ოლიმპიონიკის ანუ ჩემპიონისადმი განკუთვნილ ზეთისხილის რტოებისაგან დაწნულ გვირგვინს, ვინ გახდებოდა ოლიმპიური გმირი და ნახევრად ღმერთი, რომლის რანგშიც სწორედ გამარჯვებული ათლეტი აჰყავდათ.

მოულოდნელად სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი ერთ მხარეს მიტრიალდნენ და კისრები დაიგრძელეს. მათ დაინახეს საშუალო ასაკს გადაცილებული, წვერმოშვებული, ჭაღარაშერეული, მაგრამ მხარბეჭიანი, ალნაგი და წარმოსადეგი მამაკაცი, რომელიც დინჯად მოაბიჯებდა. მის დანახვაზე შეჯგუფული ხალხი შუაზე იყოფოდა, მოწიწებით უკან დახევას ცდილობდა და გზას უთმობდა. თან ერთმანეთს ჩურჩულით ეუბნებოდნენ, შეხედეთ, შეხედეთ, აი, ეს ის კაცია, დიაგორი, როდოსელი დიაგორი. და დიაგორიც ცოცხალი ლეგენდა ყველას თავაზიანად ულიმოდა და თავს უკრავდა.

ქრისტეშობამდე 448 წელი იყო, 83-ე ოლიმპიური თამაშების ბოლო, მეხუთე დღე, როცა პანკრატიონსა და ჭიდაობაში შეჯიბრებებით უნდა გასრულებულიყო ბერძენთა ის საყოველთაო ზეიმი.

დიაგორი ნახევრად ღმერთი იყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი გახლდათ, ოლიმპიას კი მისი ძეგლიც ამშვენებდა, როგორც ოლიმპიური გვირგვინოსნისა. იქვე მისი ძმის, ასევე ოლიმპიური ჩემპიონის ძეგლიც იდგა. კიდევ მრავალი ოლიმპიური ჩემპიონის ძეგლი აღემართათ, ოლიმპიას სხვაც ბევრი ჩემპიონი სტუმრობდა და ყველანი უდიდესი პატივისცემით სარგებლობდნენ, მაგრამ მათ შორის დიაგორი ერთ-ერთი გამორჩეული იყო.

დიაგორი როდოსელ მეფეთა ჩამომავალი და ახალგაზრდობაში უებრო მოკრივე იყო. მან 464 წელს 79-ე ოლიმპიადაზე ყველას აჯობა, მაგრამ დიაგორმა სახელი მხოლოდ გამარჯვებით კი არა, რაინდული, მოხდენილი ბრძოლებით, ცხოვრების წესით, კანონისადმი მორჩილებით და ყველასთვის სამაგალითო ოჯახის შექმნით გაითქვა სახელი. იგი პოეტთა შთაგონების წყარო იყო და ისინიც ოდებს უძღვნიდნენ როდოსელ გმირს, მათ შორის თვით პინდარეც.

მაშინ, 448 წელს, როცა დიაგორი აჩურჩულებულ ხალხში მოაბიჯებდა, შეკრებილნი იხსენებდნენ, რომ მისმა უფროსმა ვაჟიშვილმა, დამაგეტოსმა წინა, 82-ე ოლიმპიადაზე პანკრატიონში გაიმარჯვაო.


დიაგორი შვილების მხრებზე



ოლიმპია. „დიაგორის ტრიუმფი“, მოქანდაკე ნიკოლასი

ამ ამბავმა ხალხს გაახსენა სხვა მამა-შვილთა საგმირო საქმენიც, როცა ისინი თაობიდან თაობას გადასცემდნენ სპორტულ ტრადიციას. მათ შორის ყველაზე სახელგანთქმულნი იყვნენ ჰიპოსთენე და მისი ვაჟიშვილი ჰეტოიმოკლე, რომლებიც დიაგორისა და მისი შთამომავლების გამარჯვებებამდე ორი საუკუნით ადრე აზანზარებდნენ ოლიმპიის სარბიელს.

ჰიპოსთენემ პირველად 632 წელს, 37-ე ოლიმპიადაზე ჭაბუკებს შორის ჭიდაობაში გაიმარჯვა, მერე კი, გაზრდილ-დავაჟკაცებულმა 39-ე თამაშებიდან მოყოლებული 43-ეს ჩათვლით უფროსთა შორის ხუთჯერ დაიდგა გამარჯვებულის გვირგვინი. მომდევნო, 604 წელს გამართულ 44-ე ოლიმპიადაზე ახლა უკვე მისმა შვილმა ჩაიბარა ესტაფეტა და ისიც ჭიდაობაში ჯერ მამასავით ჭაბუკებში გახდა უძლეველი, მერე კი უფროსებში ზედიზედ ოთხჯერ დაეუფლა ზეთისხილის გვირგვინს.

მაგრამ დავუბრუნდეთ 83-ე ოლიმპიადას, სადაც დიაგორი თავის ორ შვილთან ერთად ჩამოსულა. ამათგან უფროსი, დამაგეტოსი თავის მეორე ოლიმპიადაზეც გამარჯვების რწმენით ალსავსე ჩამოვიდა. მას მხარს უმშვენებდა შუათანა ძმა აკუსილაოსი, ვინც მოკრივეთა პაექრობაში აპირებდა თავზე გვირგვინის დადგმას, თვით დიაგორს კი, აბა, გული როგორ მოუთმენდა, რომ საკუთარი გამარჯვებიდან 16 წლის მერე შვილების ბრძოლა არ ეხილა.

და აი, ოლიმპიადის ბოლო დღეს ისიც უამრავ ხალხთან ერთად მიუყვება სტადიონისკენ მიმავალ გზას, სადაც პანკრატიონსა და ჭიდაობაში გამართული ბრძოლებით უნდა გასრულდეს 83-ე ოლიმპიადა. სტადიონზე მისულს იქ დამხვდური მთელი საზოგადოებაც ფეხზე უდგება დიაგორს, მსაჯები და საპატიო სტუმრები კი მარმარილოს ტრიბუნაზე ადგილს უთავისუფლებენ როდოსელ გმირს, მაგრამ იგი უბრალო მოკვდავთა შორის ჯდება და შვილთა პაექრობებსაც თვალს იქიდან ადევნებს. ჯერ მოკრივეთა შეჯიბრება იმართება. დამაგეტოსი ერთი მეორის მიყოლებით ამარცხებს მეტოქეებს. ბოლოს გადამწყვეტ შეხვედრასაც იგებს და მეორედ ხდება ჩემპიონი, მერე კი სარბიელზე პანკრატიონში იმართება სასტიკი ბრძოლა და აქაც მისი შუათანა ძმა იმარჯვებს. ბოლოს დგება დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალის ჟამი და ძმებს გამარჯვებულის გვირგვინებს ადგამენ.

ირგვლივ აღტაცებული ყიჟინა და ყვავილების სროლაა. მერე ბედნიერი ძმები მამისკენ გაჭირვებით მიიკვლევენ გზას. მასთან მისულნი კი გულში იკრავენ თვალზე ცრემლმომდგარ მშობელს. მერე ორივენი გვირგვინს იხსნიან და მამას თავზე ადგამენ, მხრებზე ისვამენ და სტადიონზე საპატიო წრეს უვლიან.

ეს სცენა ჩვენმა თანამედროვე საქართველოს დიდოსტატმა ბრინჯაოში გამოძერწა და ოლიმპიაში აღმართა.

ამბობენ, იგივე სცენა როდოსელებმა იმ შორეულ წარსულშიც გამოაქანდაკეს და ისიც ოლიმპიაში აღმართესო, რაც ჟამთა სვლას ვერ გადაურჩა, მაშინ კი...

მაშინ იმ სცენით აღტაცებულთა ყიჟინა ცას სწვდებოდა და გაისმა ვილაცის შეძახილიც, მოკვდი დიაგორ, მოკვდი, შენ ყველაფერს მიაღწიე, თვით ღმერთებსაც კი გაუტოლდი, მაგრამ ოლიმპოზე ასვლას ნუღარ ცდილობ! მოკვდი, მეტი რაღა გინდაო?!

გაივლის წლები, საუკუნეები და ილიას „ივერია“ 1895 წლის მეათე ნომერში ამ ამბავს ასე აღწერს:

„უწინ საბერძნეთში ჩვეულებად ჰქონდათ ხოლმე საზოგადოდ დღესასწაულებზედ და მომეტებულ ნაწილად ოლიმპის დღესასწაულზედ ჭიდაობის გამართვა. ერთმა მოჭიდავემ, რომელსაც დიაგარს ეძახდნენ, დიდი სახელი მოიპოვა მთელს საბერძნეთში. იგი ყოველთვის დაუმარცხებელი ბრუნდებოდა დღესასწაულიდგან. როცა თითონ დაბერდა, ახლა თავისი შვილები გაჰყავდა საჭიდაოზედ. ერთს ამისთანა დღესასწაულზედ მისმა შვილებმა დაამარცხეს საბერძნეთის ყველა მოჭიდავენი. დიდად გახარებულმა შვილებმა თავისი მამა, მხცოვანი მოჭიდავე, ხელში აიყვანეს და ისე დაჰყავდათ. ხალხი მათ უკან დასდევდა ტაშისცემით, „ვაშას“ ძახილით და ყვირილით: „მოკვდი, დიაგარ, შენ მაგის მეტი აღარა გინდარაო!“ მართლაც მოხუცებულმა დიაგარმა ვეღარ აიტანა ამისთანა ბედნიერება და გმირის შვილების ხელებზედ განუტევა სული.“

თუმცა, დიაგორის ამგვარი აღსასრული ისტორიულად არ დასტურდება და უფრო ლეგენდას ჰგავს.

მაგრამ დიაგორის შთამომავალთა წარმატებებს იმ ორი ძმის ჩემპიონობით სულაც არ დასმია წერტილი. 432 წელს, სარბიელზე გამოვიდა მათი მესამე ძმა დორიუსი, რომელსაც მამის სახელითაც მოიხსენიებენ. იმ 87-ე ოლიმპიადიდან მოყოლებული დიაგორ-დორიუსი პანკრატიონში სამჯერ აღზევდა გვირგვინამდე.

ამის მერე 20 წლის განმავლობაში ოლიმპიის სარბიელზე დიაგორის შთამომავლები აღარ გამოჩენილან, 94-ე თამაშებზე კი მისი ორი შვილიშვილი მოკრივეთა შეჯიბრებაში საასპარეზოდ ჩავიდა. იმათგან, ევკლემ უფროსებში ყველას აჯობა, უმცროსმა, პეისერროდოსმა კი ჭაბუკებში იმარჯვა.

პეისერროდოსი ამ შეჯიბრებისთვის დედამისმა კალიპატერამ (იგივე ფერენიკა) ავარჯიშა. დედა პესეიდორროდოსის გამარჯვებაში დარწმუნებული იყო და მისი ტრიუმფი საკუთარი თვალით უნდა ეხილა, მაგრამ ქალებს ოლიმპიურ თამაშებზე დასწრება სასტიკად ეკრძალებოდათ. და თუ მაინც ვინმე ოლიმპიადაზე გამოჩნდებოდა, მას სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა. ამიტომ კალიპატერამ კაცურად გადაიცვა და მაყურებლებში გაერია, მაგრამ შვილის გამარჯვებით გახარებულმა სიფრთხილე დაივიწყა, სარბიელზე გაიჭრა და გულში ჩაიკრა, მაგრამ იმ თავდავიწყებაში სამოსი შემოსძვრა და ყველაფერი ნათელი შეიქნა. მაყურებლის აღტაცებული ყიჟინა გაოგნებამ, დაბნეულობამ და სამარისებურმა მდუმარებამ შეცვალა.

და კალიპატერას აპატიეს კადნიერება, როგორც ოლიმპიური ჩემპიონის მეუღლეს, სამი ოლიმპიური ჩემპიონის დას, ორი ოლიმპიური ჩემპიონის დედას და ოლიმპიური ჩემპიონის რძალს.

**ავთანდილ ბურასაშვილი**

# მსპანეთო, შენ პარიზის გულში ხარ

**კაცები**

**მეოთხედფინალი**

**ხუან კარლოს ფერერო (3, ესპანეთი) — ფერნანდო გონსალესი (19, ჩილე) 6:1, 3:6, 6:1, 5:7, 6:4; ალბერტ კოსტა (9, ესპანეთი) — ტომი რობრედო (28, ესპანეთი) 2:6, 3:6, 6:4, 7:5, 6:2**

4 ივნისს როლან გაროსმა კაცთა მეოთხედფინალის ორი დარჩენილი მატჩი მოამთავრა. წინა დღეებისგან განსხვავებით ფავორიტთა სისხლი აღარ დაღვრილა პარიზის თიხამიწაზე, მაღალ ნომრად განთესილმა ესპანელებმა ხუან კარლოს ფერერომ და ალბერტ კოსტამ თავისი გაიტანეს და დაბალი ნომრები ფერნანდო გონსალესი და ტომი რობრედო ტურნირიდან გაისტუმრეს, თუმც პირიქითაც შეიძლება მომხდარიყო. როლან გაროსზე დამწვრის სუნიც სულ ტრიალებდა და ორივე მატჩი ხუთსეტიანი გამოდგა, ისეთი, სადაც ფავორიტი ფავორიტის სტატუსს კარგავს და ხშირად დამფრთხალ რიგით მოჩოგნავედ იქცევა.

როლან გაროსის შარშანდელი ჩემპიონი ალბერტ კოსტა მაგრად გაწვალდა ახალგაზრდა თანამემამულე ტომი რობრედოსთან, წაგების პირასაც იყო მაგრამ შეძლო სიმტკიცის შენარჩუნება. რობრედოს უკვე აწევდა ორი ბო ბოლას, ლეიტონ ჰიუიტის და გუსტავო კუერტენის ცოდვა და კოსტასაც ისე დაჩოგნავდა, თვალს არ დაახამხამებდა. რობრედომ პირველი ორი სეტი აართვა ხნიერ თანამემამულეს და ხრამთან მიაყენა. კოსტამ შეძლო თავის დაძვრენა, ჯერ ერთი სეტი გადაარჩინა, შემდეგ მეორე, მეხუთე გადამწყვეტში კი იოლადაც კი იძალა.

გაგიკვირდებათ და, კოსტამ ცხოვრებაში პირველად გადაარჩინა მატჩი, რომლის პირველი ორი სეტი წააგო. თანაც ის ბოლო 35 წლისთვის უნიკალური მიღწევის პატრონია — ამ ხანში როლან გაროსზე მოთამაშეთაგან ვერავინ მოახერხა ერთბაშად ოთხ ხუთსეტიან მატჩში გაძლება და, ცხადია, გამარჯვება.

„მე ყოველდღე მანცვიფრებს საკუთარი ამტანობა. გარწმუნებთ — და ალბათ იოლადაც დამიჯერებთ — ყოველი მატჩის მეხუთე სეტამდე მიყვანა ჩემი სტრატეგია არაა. უბრალოდ ასე დაემთხვა" — ხელებს შლის კოსტა.

როლან გაროსს შერჩენილ ერთადერთი ძველი ჩემპიონის ამტანობას სერიოზული გამოცდა ელის ნახევარფინალში, სადაც ის თანამემამულესა და მეგობარს ხუან კარლოს ფერეროს შეხვდება. ისე, თუმც ფერერო სადღეისოდ მსოფლიოში მესამე ჩოგნის მპყრობელია, კოსტა კი მხოლოდ მეცხრის, ამ უკანასკნელისთვის პირველი სულაც არ წარმოადგენს უხერხულ მეტოქეს. შეგახსენებთ, რომ კოსტამ აქ შარშანდელ ფინალში სწორედ ფერერო დაამარცხა.

რას იზამს ფერერო ნახევარფინალში, ეს ნახევარფინალში გამოჩნდება. მეოთხედფინალში კი კოლობიჭს შესამჩნევადაც გაუჭირდა ჩილელ ფერნანდო გონსალესთან ბრძოლა და მასაც ხუთი სეტის მოთმინებით ჩათამაშება მოუხდა ნახევარფინალის კუთვნილი საგზურის მისაღებად. აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ კოლობიჭი როლან გაროსის სანახევარფინალო თიხაზე ზედიზედ მეოთხედ შეაბიჯებს, როლან გაროსის მატიანეს ასეთი რამის შემძლე მხოლოდ ოთხი კაცი ახსოვს — მატს ვილანდერი, ბიორნ ბორგი, ივან ლენდლი და ჯიმ კურიე.

**კოტე ყორშია**



REUTERS

ტომი რობრედოს გულმა არ მოუთმინა და ნაადრევი სიხარული აწყია



ლინა კრასნორუცკაია და სვეტლანა კუზნეცოვა



ვერა ზვონარიოვა



ნადია პეტროვა

# GO, GO გოგოები

რუსები პარიზში ბოლოჯერ დიდ ხნის წინ იყვნენ.

თან – როგორც მათ სჩვევიათ – ცუდად!

ესე იგი: ანტინაპოლეონიზმი და ანტიპოლანრიმათიოიზმი.

ნაპოლეონი ვინც არის, ყველამ იცის. პოლ ანრი მათიო კი ის ბიჭური ქლალმეჩოგნეა, ვინაც შარშანდელ დევისფინალში მიხაილ იუჟნისთან გადამწყვეტი მატჩი წააგო.

წლეულს რუსები პარიზს ბარაქიანად სტუმრობენ.

ხორცსავსედ.

ფერხორციანად.

ვერა ზვონარიოვათი.

ნადია პეტროვათი.

სვეტლანა კუზნეცოვათი.

ლინა კრასნორუცკაიათი...

პარიზულმა წითელმიწამ ამ დღეებში რუსული ხვავის სუნი აუშვა.

ოღონდ ნურც ამ კონტაპრუნა გოგოცუნებს მოვისაკლისებთ:

პირველი, კლარისა ფერნანდესი შარშანდელი ნახევარფინალისტი და წლევანდელი ჩამფლავებელია, მაგრამ არგენტინელი გახლავთ და ისეთი დაბრაწულ-პატაგონიური კიდურები აქვს, ამ კვირის ბოლოს გასაჩემპიონებელ სერენა უილიამსს არც მოელანდება;

მეორე – ალბათ ყველა დროის ყველაზე სექსმკერდა ქალმეჩოგნე ელენა დოკიჩი, რომელიც წლეულს ძალზედ აჭრილია და კარიერის უცუდეს სეზონს ჩოგნაობს, მაგრამ თავის ჯადოლიმილს მაინც უშურველად გიძღვნით.

მესამე ჩოგბურთის შავი ლაზიერი სერენაა...

სერენა თაროზე მალე ზედიზედ მეხუთე სლემტიტულს შემოდებს.

მეოთხე კი სერენას თვისტომი, თეთრი ამერიკელგოგო ემლი ჰარკლროუდია, რომელიც მალე ყველა ჩოგბურთზე მკითხველისთვის სასურველი ქალი გახდება.

**ბონ ჯოგაძე**



ელენა დოკიჩი



სერენა უილიამსი



ეშლი ჰარკლროუდი



REUTERS ოოსტდიუნკერკიდან

# მზადება

ოოსტდიუნკერკში, დე პანეს პლაჟზე ემზადება თავისი შესარჩევი მატჩისთვის ბელგიის საფეხბურთო ნაკრები. სადღეისოდ გუნდს ერთი ტრავმირებული ჰყავს, ვაბი მუდინგაი, რომელსაც ფეხი ყინულიან სათლში ჩაუდგამს. ზღვის პირად მოძუნძულე ფეხბურთელებს კი რატომღაც ორმოს მთხრელი ბაბუა და შვილიშვილი გულიანად ესალმებიან. ბელგიელები 7 ივნისს ეთამაშებიან ბულგარელებს სოფიაში.



# შტეფი უყურებს

ცხადია, შტეფი გრაფიც პარიზშია და როლან გაროსის თიხნარის თავზე მოზუზუნე ბურთს დააყოლებს თვალს. კორტზე კი მისი ქმარია — ანდრე აგასი გილერმო კორიას ეთამაშება როლან გაროსის მეოთხედფინალში.



REUTERS პარიზიდან



REUTERS სან ანტონიოდან

# გაიჭიმე, ჯეისონ

ენბიეის ფინალის პირველი მატჩის წინ, რომელიც ჩვენი საათით ამ დილით გაიმართებოდა, ფიცხელ მზადებაში ჩაბმულიყო „სან ანტონიოცა“ და „ნიუ ჯერსიც“. ჯერსელთა მთავარი კაცი, ჯეისონ კიდი სახსარ-მყესების გახსნას დიდ ყურადღებას უთმობს. თანაშემწე მწვრთნელმა მაიკ ოსკორენმა ზეპირად იცის ჯეისონის ყოველი კუნთის ამბავი და ამიტომაც მთავარი მიმშველებელიც ის არის.

# ბურთები ბაღდადში

ერაყის დროებითმა მმართველმა პოლ ბრემენმა ფეხბურთისა ალბათ ბევრი არაფერი იცის, მაგრამ ამ თამაშის სახალხო ძალას კი აღიარებს და ამიტომაც ჩამოუტანია ერაყელ მობურთალთათვის ახალი ბურთები. თანაც აცხადებს, ერაყის გუნდმა უეჭველად უნდა ითამაშოს ათენის ოლიმპიადაზეო.



REUTERS ბაღდადიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფიფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge